ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ვახტანგ რჩეულიშვილი: „ყოველთვის ვიყავი და ვარ არჩევნების მძევალი“



გვ.4

27 სექტემბრიდან

ედიშერ ყიფიანი

ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




ოთხშაბათი, 28 სექტემბერი, 2016 №230 (7156) ფასი: 50 თეთრი

# „ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში შესვლაზე უარს იტყვის“




გვ.2

გია ხუხაშვილი: „ოცნებას“ ორპოლუსიანი პოლიტიკური გარემო ძვირი დაუჯდება“

## ნაციონალები გადატრიალებას გეგმავენ?

გვ.3



## „ბურჭულაძისა და ბურჯანაძის პარტიებს სააკაშვილი მართავს“



გვ.5



ზვიად ჩიტიშვილი: „კარგად დაინახეს ჩვენი ძალა და ყველა ჩვენ წინააღმდეგ გაერთიანდა“

## გიორგი ოთხმეზური: „სტუდენტებს ვეთანხმები, მაგრამ გამოხატვის ფორმა არ მომწონს“

გვ.4





გვ.3

## „რევოლუცია ნაციონალებს ფიზიკური არსებობის საფრთხეს შეუქმნის“

რამაზ საყვარელიძე: „20 დღე კრიტიკული იქნება“

## სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური რაიმე სახის დესტაბილიზაციას არ დაუშვებს

გვ.2






გვ.6

## თამარ ჩხეიძე: „არეულობა შეიძლება ხელისუფლებამ მოაწყოს“

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში შესვლაზე უარს იტყვის“

## გია ხუხაშვილი: „ოცნებას“ ორპოლუსიანი პოლიტიკური გარემო ძვირი დაუჯდება“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ არ უნდა საყვედურობდნენ რესპუბლიკელები ივანიშვილს, რა პოლიტიკას აწარმოებს „ქართული ოცნების" ლიდერი ნაციონალების მიმართ, რატომ არ აქვს ირაკლი ღარიბაშვილს საპრეზიდენტო შანსები, რატომ საუბრობს ასე ხშირად სააკაშვილი საქართველოში დაბრუნებაზე? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.**

***– თინა ხიდაშელის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობა დღეს რომ კიდევ არსებობს, ეს ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა. ამ მოსაზრებას ბევრი იზიარებს. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?***

– ბიძინა ივანიშვილის მთელი რიტორიკა ორპოლუსიანი პოლიტიკური გარემოს შექმნისკენ არის მიმართული. მისთვის არსებობს მხოლოდ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. დანარჩენ პარტიებს ის არარაობად მიიჩნევს. როცა შენ ცდილობ პოლიტიკა გახადო ორპოლუსიანი, ამით იმ ერთადერთ მოწინააღმდეგეს აძლიერებ. ამ დროს პოლიტიკური ველიდან ნაცმოძრაობის სავარაუდო კონკურენტები გაგყავს. აქედან გამომდინარე, თინა ხიდაშელის ნათქვამში არის გარკვეული ლოგიკა.

ანალოგიური ლოგიკა არის რესპუბლიკელების მიმართაც. ივანიშვილის საკმაოდ აგრესიულმა დამოკიდებულებამ ამ პარტიის მიმართ რესპუბლიკელებიც გამოაცოცხლა და ისინი პოლიტიკური კომიდან გამოიყვანა. ასე რომ, თინა ხიდაშელმა ყოფილ პრემიერს ნაკლებად უნდა უსაყვედუროს.

***– ბოლო დროს რესპუბლიკელები და ივანიშვილი ძალიან ხშირად ახსენებენ ერთმანეთს ცუდად. ყოფილი პოლიტიკური პარტნიორების მხრიდან ასეთი საქციელი უხერხული არ არის, თუ ქართულ პოლიტიკაში ყველაფერი მოსულა?***




– ქართულ პოლიტიკაში ეს ჩვეულებრივი ამბავია. არც მიკვირს ასეთი წამოძახებები. ჩვენი პოლიტიკოსები ამას დიდი ხანია აკეთებენ. ძალიან გამიკვირდა, როცა ასეთივე გზას დაადგა ივანიშვილიც.

***– მისგან რატომ გაგიკვირდათ?***

– ის უფრო სხვა ტიპის ადამიანია და ამგვარი რიტორიკის არჩევით ეშვება ჩვენი პოლიტიკოსების დონეზე. ამით მისი ავტორიტეტი კნინდება, რაც მე არ მიხარია.

***– რესპუბლიკელების რისხვა ივანიშვილმა ღარიბაშვილის გამოც დაიმსახურა. ყოფილი პრემიერის განცხადებამ, რომ შესაძლოა ღარიბაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნებში იყაროს კენჭი, ბევრი გააღიზიანა. თქვენი პოზიცია როგორია?***

– ბიძინა ივანიშვილს მთლად ასე არ უთქვამს, რომ ღარიბაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. ეს იყო კითხვაზე პასუხი. მე რატომღაც დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ეს კითხვა გარკვეული ჯგუფის მიერ ორგანიზებულად დაისვა.

ყოფილმა პრემიერმა, როგორც მას ახასიათებს, საკმაოდ დიპლომატიურად უპასუხა საგანგებოდ მომზადებულ კითხვას. მან თქვა, ძალიან საინტერესო იქნებოდა თუ ღარიბაშვილი კენჭს იყრიდა, თუმცა საპრეზიდენტო არჩევნები შორს არის და მანამდე ირაკლიმ შესაძლოა სხვა რამე დააპიროსო. ასე რომ, მე მის ნათქვამს პირდაპირ არ გავიგებდი. მას ყველაზე კარგად ესმის, რომ ღარიბაშვილის არჩევით თანამდებობაზე გაშვება დაუშვებელია.

***– რატომ?***

– არჩევნებში როცა მონაწილეობ, საჭიროა საჯარო სივრცესთან კომუნიკაციის უნარები. მათ შორის დებატები და ა.შ. ეს უნარები ღარიბაშვილს სუსტად აქვს განვითარებული. შესაბამისად, საჯარო სივრცეში მისი იმპლემენტაცია ამ ფორმით არასერიოზულად მიმაჩნია. ამას ივანიშვილიც კარგად ხვდება.

***– დანიშვნით თანამდებობაზე თუ წარმოგიდგენიათ ღარიბაშვილი?***

– დანიშვნით თანამდებობაზე კი ბატონო. მთავრობის ექსკლუზიური უფლებაა და ამ კუთხით უფრო მეტ შანსებს ვხედავ, ვიდრე არჩევით თანამდებობაზე.

***– არის იმის ალბათობა, რომ რაიმე მაღალ თანამდებობაზე ვიხილოთ აღმასრულებელ ხელისუფლებაში. თუნდაც პრემიერად?***

– ალბათობა ყოველთვის ყველაფრის არის, მაგრამ, როგორც წესი, ორჯერ ერთ მდინარეში არ შედიან.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ღარიბაშვილი პოლიტიკაში არ დაბრუნდება?***

– ქართულ სინამდვილეში ღარიბაშვილი არც არასდროს ყოფილა პოლიტიკოსი. ის იყო შემთხვევით გაელვებული ფიგურა, მისი საქმე ნამდვილად არ არის პოლიტიკა. არც ოცნებობდა მგონი ამაზე. პოლიტიკაში თუ დაბრუნდება, ეს თავად მისთვის იქნება დამაზიანებელი. მას აქვს თავის სპეციალობა, ის არის მისი ცხოვრება. მე პოლიტიკაში დაბრუნებას მას ადამიანურად არ ვუსურვებდი.

***– ზემოთ თქვით, რომ ივანიშვილი ორპოლუსიანი პოლიტიკური გარემოს შექმნას ცდილობს. ნაციონალებიც იგივეს ხომ არ აკეთებენ? ისინიც ძირითადად „ქართულ ოცნებას“ ახსენებენ და სხვა პარტიებს არც კი მიიჩნევენ კონკურენტებად.***

– რა თქმა უნდა, ყოფილი ხელისუფლებაც ასე იქცევა. „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ერთგვარ სიმბიოზად ჩამოყალიბდა. ისინი ერთმანეთს კვებავენ ამ დაპირისპირებით. სინამდვილეში მათ სისტემა აერთიანებს. საუბარია იმ ადამიანებზე, რომლებიც მუდმივად ამ სისტემაში მუშაობენ და ოპერირებენ ძალაუფლებით. მე მათ კოლექტიურ მურუსიძეს ვეძახი. ისინი იყვნენ მიშას დროსაც და ისინი არიან ახლაც. პოლიტიკოსები მიდიან და მოდიან, სისტემა კი უცვლელი რჩება, რომელიც ავთვისებიანი სიმსივნესავით მოედო ხელისუფლებას. აი, ეს ავთვისებიანი მეტასტაზები აკავშირებს ამ ორ პარტიას.

ისინი ყველანაირად შეეცდებიან, რომ ორპოლუსიანი გარემო შეიქმნას, რათა ვილაც სხვა არ მოხვდეს პარლამენტში. ახლა ყველაფერი გადაუწყვეტელ ამომრჩეველზეა დამოკიდებული. იმედი მაქვს, ისინი არჩევნებისთვის რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებენ.

***– გადაუწყვეტელმა ამომრჩეველმა თუ რაღაც გადაწყვეტილება არ მიიღო, ეს ორი პარტია გაიყოფს მომავალ პარლამენტში ადგილებს?***

– თუკი გადაუწყვეტელი ამომრჩეველი გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს, პოლიტიკა ორპოლუსიანი დარჩება, თუმცა მათ ექნებათ დაბალი ლეგიტიმაცია.

***– ვერ დატკბებიან ძალაუფლებით?***

– ვერა. ისინი იქნებიან უმცირესობის მიერ არჩეული და დაბალი ლეგიტიმაცია ექნებათ. ეს, შესაძლოა, პოლიტიკური კრიზისის საფუძველიც კი გახდეს.

ორპოლუსიანი პოლიტიკური ველი „ქართული ოცნებისთვის“ საკმაოდ სახიფათო იქნება. ასეთ ვითარებაში საკმაოდ დიდია იმის ალბათობა, რომ ნაციონალებმა უარი თქვან პარლამენტში შესვლაზე.

***– ამით რას მიაღწევს ყოფილი ხელისუფლება?***

– ამ ნაბიჯით ნაციონალები მთელ პოლიტიკურ პროცესს ააფეთქებენ და ხელმეორე არჩევნების ინიცირებას მისცემენ დასაბამს. ამას, ჩემი აზრით, სხვა პარტიებიც დაუჭერენ მხარს. არის იმის თეორიული შანსიც, რომ „ქართული ოცნება“ დარჩეს მარტო. შესაბამისად, „ოცნების“ წინასაარჩევნო სტრატეგია, შუის გაკრეფვა, არის ძალიან მცდარი და ის მისთვის, შესაძლოა, ფატალურად დასრულდეს. ასე თუ გააგრძელებენ, მათ არ ეყოლებათ პოლიტიკური პარტნიორები.

***– საზოგადოება რა პოზიციაზე იქნება?***

– პარტნიორები არც საზოგადოებაში უნდა ეძებონ. ივანიშვილის რიტორიკას რომ დავუკვირდეთ, ის შუას გაკრეფის პროცესშია – „ოცნება“ და ყველა დანარჩენი. ყოფილი პრემიერი დიდ აგრესიას იჩენს სამოქალაქო სექტორის მიმართაც. მედიასაც უპირისპირდება. „ოცნებას“ პარტნიორები არც ერთი მიმართულებით აღარ ეყოლება.

***– მარტო დარჩენილები გაუმკლავდებიან გამოწვევებს?***

– ამის გაკეთება ძალიან გაუჭირდებათ. ამიტომ კარგად უნდა დაფიქრდნენ – შუა გაკრეფის პოლიტიკამ შესაძლოა ისინი ძალიან ცუდ დღეში ჩააგდოს.

***– სააკაშვილი ისევ დაბრუნებაზე საუბრობს. ადრე თქვენ გვითხარით, რომ ეს განცხადებები წმინდა წყლის პოლიტტექნოლოგიაა. ახლაც იგივეს ფიქრობთ?***

– იგივე აზრზე ვარ. სააკაშვილი ამ თემაზე რამდენიმე მიზეზის გამო საუბრობს. მას უნდა, რომ „ოცნებაზე“ ფსიქოლოგიური ზეწოლა განახორციელოს. ის ამ განცხადებებით ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებსაც აგულიანებს და თავის თანაპარტიელებსაც აფრთხილებს.

***– რას ნიშნავს აფრთხილებს?***

– ის ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს პირდაპირ ეუბნება, რომ პარტიის მთავარი ლიდერი ისაა. აი, ამ სამ მიზანს ემსახურება სააკაშვილის განცხადებები. მყარი გარანტიების გარეშე ის საქართველოში არ ჩამოვა. დღეს შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე კი მას ასეთ გარანტიებს არავინ მისცემს.

# სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური რაიმე სახის დესტაბილიზაციას არ დაუშვებს




მედიით გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება საქართველოს სსკ-ის 315-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც გულისხმობს შეთქმულებას სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად.

მოხდება მედიით გავრცელებული ჩანაწერების წარმომავლობისა და ავთენტურობის დადგენა. აღნიშნული აუდიოჩანაწერებზე დაინიშნება ექსპერტიზა და მოხდება ხმების იდენტიფიცირება, ჩატარდება ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედება, დაიკითხება ყველა ის პირი, რომელიც აღნიშნულ ჩანაწერებში ფიგურირებს. შესაბამისი უწყებები დაეგზავნათ აკაკი მინაშვილსა და ნუგზარ წიკლაურს. ისინი კონტრდაზვერვის დეპარტამენტში დაკითხვაზე დაიბარეს.

სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობები გაიგზავნება ყველა შესაბამის ქვეყანაში გამოძიების ინტერესების მიხედვით.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არ დაუშვებს რაიმე სახის დესტაბილიზაციას ქვეყანაში და დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში ყველა პირი კანონის სრული სიმკაცრით დაისჯება.

# კახა კალაძე: „არ დავუშვებთ, რომ ქვეყანაში გადატრიალება და სისხლისღვრა მოაწყონ!“



– არ დავუშვებთ, რომ ვიღაცებმა ქვეყანაში გადატრიალება და სისხლისღვრა მოაწყონ.

ამის შესახებ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ ჟურნალისტებს გმირთა მემორიალთან განუცხადა, სადაც პარტიის წევრებთან ერთად აფხაზეთში დაღუპულებს პატივი მიაგო.

როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, ბოლო დროის განმავლობაში არაერთხელ იქნა გაკეთებული განცხადება, რომ იგეგმება გარკვეული პროვოკაციები.

– არავის არაფერი გამოუვა. ჩვენ ვმოქმედებთ კანონის ფარგლებში. ჩვენთვის მთავარი ამოცანაა არჩევნების მშვიდობიან პირობებში ჩატარება, არჩევნების თავისუფალ გარემოში ჩატარება, სადაც ყველა პოლიტიკურ პარტიას მიეცემა შესაძლებლობა წყნარ გარემოში მიაწოდოს ყველა მოქალაქეს თავისი ხედვა ქვეყნის განვითარების შესახებ, – განაცხადა კალაძემ.

რაც შეეხება კითხვას, გამორიცხავს თუ არა, რომ გავრცელებული აუდიოჩანაწერის შემდეგ მიხეილ სააკაშვილს ბრალი დაუმძიმდეს, კალაძემ აღნიშნა, რომ შესაბამისმა სამსახურებმა დაიწყეს გამოძიება და ყველა გადაწყვეტილება კანონის ფარგლებში იქნება მიღებული.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „რევოლუცია ნაციონალებს ფიზიკური არსებობის საფრთხეს შეუქმნის“

## რამაზ საყვარელიძე: „20 დღე კრიტიკული იქნება“

ნონა ცაბაძე

**8 ოქტომბრის მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო მეტს საუბრობენ მოსალოდნელ საფრთხეებსა და დესტაბილიზაციაზე, იმის თაობაზე, რომ ნაციონალები რევოლუციური სცენარისთვის ემზადებიან.**

გუშინ ინტერნეტსივრცეში მიხეილ სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის ლიდერების კიდევ ერთი ფარული ჩანაწერი გავრცელდა, სადაც აღნიშნული პირები არჩევნების შემდგომ დაგეგმილ ღონისძიებებზე საუბრობენ. მოსალოდნელია თუ არა ქვეყანაში რევოლუციური სცენარი, დაიძაბება თუ არა სიტუაცია საარჩევნოდ? ამ და სხვა კითხვებით „ახალმა თაობამ“ ექსპერტს, ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძეს მიმართა.

***– ბატონო რამაზ, რამდენად სანდოდ და რეალურად მიგაჩნიათ ეს ჩანაწერები?***

– ჩემი ყურისთვის ხმები საკმაოდ ჰგავს, თუმცა ავთენტურობა სპეციალურმა ექსპერტიზამ უნდა დაამტკიცოს. სანამ ექსპერტიზა დაამტკიცებს, იქამდე ჩვენ ლოგიკა დაგვრჩენია და, ლოგიკურად ეს რომ ვივარაუდოთ, ამის საფუძველი გვაქვს. ეს ის პარტიაა, რომელიც რევოლუციით მოვიდა ხელისუფლებაში 2003 წელს. მიშას თაობის ნაციონალებისგან რევოლუციური გზის არჩევა არ უნდა გაგვიკვირდეს.

***– ანუ ეს ყველაფერი რეალურად გეჩვენებათ?***

– ამაზე კითხვა რომ ჩნდება, ჩემთვის ის არის გასაკვირი. რა თქმა უნდა, ისინი ეცდებიან, რევოლუციურ ვითარებაში ჩაატარონ არჩევნები.

***– რამდენად გამოუვათ?***

– მოდით, ასეთი კითხვა მივამატოთ თქვენს კითხვას: სწორია ეს გადაწყვეტილება თუ არა? მე მგონი, არ არის სწორი! რევოლუციით გამარჯვებას ხალხის ღია ან ჩუმი მხარდაჭერა სჭირდება. როდესაც ხალხისთვის მიუღებელია შენი მოსვლა ხელისუფლებაში, ეს ხალხი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ხელისუფლებაში არ მოვიდეს ნაციონალური მოძრაობა. მათ რევოლუციას მაშინვე კონტრრევოლუცია შეიძლება დახვდეს ქუჩაში, სანამ ის რევოლუცია თავის მიზანს მიაღწევს.

***– ეს სახიფათო თამაში არ არის ნაციონალებისთვის?***

– არ არის გამორიცხული, რომ ნაციონალებს ფიზიკური არსებობის საფრთხე შეექმნათ ამ რევოლუციური სცენარის გამო. ნებისმიერმა სცენარმა ესენი შესაძლოა თავად შეიწიროს, ხოლო თუ ითამაშებენ ნორმალური თამაშის წესებით, ნაციონალური მოძრაობა დარჩება პოლიტიკაში, მერე კიდევ მომძლავრდება და ასე შემდეგ. მათ კი ასეთი თამაში არ უნდათ და უნდათ მაინცდამაინც რევოლუციური!

***– რატომ მაინცდამაინც რევოლუციური?***

– ამათ სხვანაირად არ შეუძლიათ, უბრალოდ, ვერ ითმენენ. კიდევ ოთხი წელიწადი მოთმენა ამათთვის ძალიან დიდი დროა, ხოლო დღევანდელმა მოუთმენლობამ და ძალადობამ, შესაძლოა, თავად ეგენი დააზარალოს.

***– მერე ვერ აცნობიერებენ ამ ყველაფერს?***

– ამ ჩანაწერებში ეტყობათ, რომ რამეს აცნობიერებენ?!

***– იქნებ ნაციონალები სააკაშვილის გაბრიყვებას ცდილობენ თანხების გამოძალვის მიზნით?***

– კი, ესეც შესაძლებელია, მაგრამ რამდენი უნდა გამოართვან? ორი კვირაც აღარ დარჩა არჩევნებამდე. აქ კიდევ სხვა ფაქტორი იკვეთება, თვითონ სააკაშვილია რევოლუციური სცენარის მომხრე. ის ვერ ხვდება, რამდენად დამღუპველია რევოლუციური სცენარი. გამოდის, რომ მას აქვს ძალადობის აკვიატება.

***– სააკაშვილის საკმაოდ გააქტიურებულია. დღეს სანდრა იგივე მე ვარო, აცხადებს. სანდრა აცხადებს, მიშას გვირაბის გათხრა რომ დასჭირდეს, ამის გამკეთებელიაო. რამდენად მომგებიანია არჩევნების წინ რულოვსისთვის ეს განცხადებები?***

– მე თუ მკითხავთ, მოსახლეობისთვის მომგებიანია. თუ მიშა იტყვის, სანდრა მე ვარო, ვისთვისაც მიშა მიუღებელი იყო, იმისთვის სანდრაც მიუღებელი გახდება. ეს ისედაც ცხადი იყო, რომ ორივე ერთი და იგივეა, მაგრამ ასე პირდაპირ გაკეთებული განცხადების შემდეგ მიშას მტერი სანდრას მტერიც იქნება. ამ მხრივ ბევრი შეცდომაა დაშვებული, თუმცა ისინი ცდილობენ, შექმნან იმის იმიჯი, რომ იმარჯვებენ.

***– მერე რომ გამოვიდნენ და იყვირონ, არჩევნები გაგვიყალბესო?***

– რა თქმა უნდა. დიდ მიტინგს რომ აწყობენ იმის ხარჯზე, რომ ვილაცები ჩაჰყავთ და ამით უნდათ, გაზარდონ მიტინგი, ეს უკვე ნიშნავს, რომ მათ უნდათ, შთაბეჭდილება შექმნან დიდი ძალის, თორემ რეალობა ჩვენზე უკეთესად იციან.

***– არჩევნების წინ გამუდმებით საუბარი მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე, პროვოკაციებზე მოსახლეობისთვის დამთრგუნველი ხომ არ არის და უარყოფითი შედეგის მომტანი ხომ არ იქნება, თანაც იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლებაც გამუდმებით ამ საკითხზე აპელირებს?***

– ამას ხელისუფლება რად უნდა, აგერ, ინტერნეტსივრცეში დევს მასალა. ხელისუფლებამ ხმა რომ არ ამოიღოს და მხოლოდ ჟურნალისტურ დონეზე გავრცელდეს ეს მასალა, მერე საზოგადოებაში ხომ იქნება უკმაყოფილება – ხელისუფლება რას აკეთებს?!

***– აღნიშნულ ჩანაწერზე სააკაშვილის კომენტარიც გავრცელდა, სადაც ის ამ ყველაფერს უნიჭო მონტაჟს უწოდებს.***

– ესე იგი მან იცის, რომ ეს ყველაფერი მიუღებელია, ანუ მან იცის, რა არის კარგი და ცუდი. მონტაჟი არის თუ არა, მაგის დადგენას რა უნდა, თან, ვიმეორებ, გარდა წმინდა ტექნიკური ექსპერტიზისა, თუ შეიძლება ითქვას, ლოგიკური ექსპერტიზაც არსებობს. ლოგიკით კი ამ პარტიას ეს გამოცდილება აქვს და, რაც მთავარია, დღესაც აწყობთ, რომ ამავე გზით წავიდნენ.

***– რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რომ საფრთხეები თავიდან აიცილოს?***

– ერთი პრევენცია უკვე მოხდა. ამ ყველაფრის საჯაროდ გამოტანაც პრევენციაა. ეს პრევენციაა არა მარტო ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ უცხოელებისთვისაც. ისინიც ხომ ადევნებენ ამ მასალებს თვალს?!

***– რესპუბლიკელების ლიდერმა დავით უსუფაშვილმა მოუწოდა მოსახლეობას, ემოციურ ფონზე ნუ გააკეთებს არჩევანს, რადგან ხელისუფლება ცდილობს, არჩევნები ამ კუთხით მოიგოსო. რამდენად მიდის ხელისუფლება ამაზე, რომ კვლავ ფარული ჩანაწერებით გავიდეს ფონს?***

– ფარულ ჩანაწერებში ვისმენთ, რომ ემოციური ფონი თურმე ნაციონალებს სჭირდებათ. ე.ი. ხელისუფლება მიდის ემოციურ აღტყინებაზე და ნაციონალები არ მიდიან?! ანუ ნაციონალების მხარდამჭერებმა გააკეთონ არჩევანი ემოციურ ფონზე და დანარჩენებმა არ გააკეთონ?! უცნაური განცხადებაა!

საერთოდ, სწორია, რომ არჩევანი ემოციურ ფონზე არ უნდა კეთდებოდეს, ოღონდ ეს რეალურად არსად ხდება. ემოციები ყველგან მონაწილეობს, მით უმეტეს, თუ ერთ-ერთი მხარე ცდილობს, ემოციური მუხტი გაზარდოს და ამით მიაღწიოს მიზანს. მაშინ ემოციას ემოციით უნდა უპასუხო. საპასუხო ემოციაც უნდა გაძლიერდეს. მხოლოდ ხელისუფლების დადანაშაულება უსუფაშვილის მხრიდან შეცდომაა! მას რომ ეთქვა, ორივე მხარე ცდილობსო, კიდევ მისაღები ფორმულა იქნებოდა. რადგან მხოლოდ ხელისუფლებისკენ იშვერს ხელს, გამოდის, რომ თვითონ ნაციონალების მხარეზეა!



***– რას ელოდებით არჩევნების შემდეგ? შეძლებს ხელისუფლება, არ დაუშვას დესტაბილიზაცია ქვეყანაში?***

– 10 დღეში არჩევნები იქნება, ოღონდ დაახლოებით 20 დღე იქნება კრიტიკული. მაგ კითხვაზე პასუხის გაცემას, ალბათ, შევძლებთ 20 დღის შემდეგ. პრობლემა რევოლუციისა ასე რეალურად არ დგას, მაგრამ დესტაბილიზაციის თავიდან აცილების პრობლემა რეალურად დგას.

# ნაციონალები გადატრიალებას გეგმავენ?

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოში ისევ გადატრიალებაზე საუბრობენ. გუშინ, 27 სექტემბერს, ინტერნეტით კიდევ ერთი საუბრის აუდიოჩანაწერი გავრცელდა, რომლის მთავარი გმირები მიხეილ სააკაშვილი, აკაკი მინაშვილი, ნუგზარ წიკლაური, გიგი წერეთელი, პეტრე ცისკარიშვილი, აკაკი ბობოხიძე და ირმა ნადირაშვილი არიან.**

აუდიოჩანაწერში საუბარია რევოლუციურ სცენარსა და კოალიციის შექმნაზე, რომლის ინიციატორი გიგა ბოკერიაა. თუმცა, აუდიოჩანაწერის მიხედვით, პარტიაში კოალიციის შექმნის გეგმას არ ემხრობიან.

ჩანაწერის მიხედვით, გაწონასწორებული და კონსტრუქციული გიგი წერეთელი პარტიის წევრებს არჩევნების რევოლუციურ ვითარებაში ჩატარებას სთავაზობს.

მიხეილ სააკაშვილი თანამოსაუბრეებს მიმართავს, რომ მათ ინიციატივა საკუთარ თავზე უნდა აიღონ.

– ამ პიკს რუსთავი 2 მოამწიფებს, 200 კაცი რუსთაველის კარვებს ავსებს, ივანიშვილის სახლი არის ასათვისებელი. – ასეთი ფრაზები ისმის ჩანაწერში.

ყველაზე რადიკალურად ბობოხიძე და ცისკარიშვილი გამოიყურებიან. ბობოხიძე რადიკალურად განწყობილ პირთა ჯგუფის შექმნას ითხოვს. ამ იდეას სააკაშვილი დადებითად აფასებს.



– აქ ჯერ „ვასტოკია“, აქ მოხდება მოუ......ნ დედის ტ....ი და კადაფი, უნდა გამოათრიონ და ჯოხით ტ.....ი უნდა მო......ნ!, – პეტრე ცისკარიშვილის ეს ციტატა განსაკუთრებით გამოირჩევა.

ჩანაწერის გამოქვეყნებას უმალ მოჰყვა აჟიოტაჟი. სუსმა საქმე აღძრა და ნაციონალებს დაკითხვაზე უხმო. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს უწყებაც აახლეს. მათ უწყება არ ჩაიბარეს, სუსს კი დაუბარეს, თუ კითხვები გაქვთ, ჩვენთან მოდითო.

გავრცელებულ ჩანაწერს ყოფილი ხელისუფლება სუსის შემოქმედებას უწოდებს.

პეტრე ცისკარიშვილის თქმით, ნაციონალურ მოძრაობაში არანაირი ძალადობრივი სცენარი არ განიხილებოდა და არ განიხილება.

– ვიღაც თავის ახლობელს ესაუბრება, ვიღაც საერთოდ სხვა საკითხებზე ლაპარაკობს, შეკრიბეს და დაამონტაჟეს. საერთოდ კიევში ვარ და იანუკოვიჩზე ვლაპარაკობ იმ პერიოდში, მერე მიაბეს მიშას სხვადასხვა ადამიანთან ჩაწერილი ლაპარაკი, ეს შეკრეს. ეს არის სუსის ბოლო სამი-ოთხი წლის შეჯამება. ეს ივანიშვილის რეჟიმს არ უშველის არაფერში.

რა რევოლუციურ სცენარზე მესაუბრებით. განიხილება არჩევნებში გამარჯვება. ეს არის ერთადერთი სცენარი, რომელიც განიხილება და ამის შედეგებს ვნახავთ 8 ოქტომბერს, – განაცხადა ცისკარიშვილმა.

გავრცელებულ ჩანაწერს სისულელეს უწოდებს აკაკი ბობოხიძე.

– ბიძინა ივანიშვილი მოწყვეტილია რეალობას. ეს ყველაფერი სასაცილოა, იმიტომ, რომ ავადმყოფი ხელისუფლება მართავს ქვეყანას. წელს არც სატელეფონო საუბარი მქონია ბიძინა ივანიშვილთან, არც სატელეფონო საუბარი მქონია მიხეილ სააკაშვილთან. ეს შემადგენლობა წელს ერთდროულად არათუ უკრაინაში, არსად საქართველოს ფარგლებს გარეთ არ ყოფილა, – განაცხადა აკაკი ბობოხიძემ.

მისი „პაძელნიკი“ გიგი წერეთელი ხელისუფლებას 2 წლის წინ გაჟღერებული ბრალდებების გამოძიებას სთხოვს.

– ჩვენ ვართ იმ ფაზაში, როდესაც ვართ აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლაში. ორი წლის წინ მთავრობა აცხადებდა, რომ გადატრიალებაა და საბურავების შეგროვებაა. ვინც ჰყავთ მრჩევლები, ვურჩევ, რომ ამ სისულელეებს თავი დაანებონ, – განაცხადა წერეთელმა.

გავრცელებულ ჩანაწერს სიცრუეს უწოდებს ირმა ნადირაშვილი. მისი თქმით, ის ამ საუბრის თანამონაწილე ვერ იქნებოდა, რადგან კიევში არ ყოფილა.

– მსგავსი ტიპის საუბარი ბუნებაში არ ყოფილა. იმ შემადგენლობასთან, რომელიც ვიდეოშია ჩამოთვლილი, კიევში არასდროს ვყოფილვარ. ეს არის სუსის გაკეთებული უნიჭო მონტაჟი. მთელი საუბარი დამონტაჟებულია. არ გამოვრიცხავ, რომ რამდენიმე წლის ნალაპარაკევია, ალბათ, ზოგი ტელეფონიდანაა აღებული, ზოგიც კომპიუტერიდან და ეს ყველაფერი ამოგლეჯილია კონტექსტიდან და ხმები მიდებულია ერთმანეთთან, – აღნიშნა ირმა ნადირაშვილმა.

ჩანაწერს ოდესიდან გამოეხმაურა მიხეილ სააკაშვილი.

– ასეთი უნიჭო მონტაჟებით სურს ივანიშვილს თავისი გარდაუვალი დამარცხების თავიდან აცილება? ჩვენი ხალხის გასულელება არ გამოუვა! – წერს ფეისბუქზე სააკაშვილი.

საგანგებო განცხადება გაავრცელა პარტიამაც. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა კატეგორიულად უარყოფს რაიმე სახის დესტაბილიზაციის დაგეგმვას, მათ შორის რევოლუციური სცენარის არსებობას ან მასზე მუშაობას.

გუშინვე საგანგებო ბრიფინგი გამართა რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ.

მისი თქმით, საკუთარი მხარდამჭერების ხმების დაცვაში უკანონო არაფერია და არც ის, თუ როგორი ფრაზებით გადმოსცემენ ამას ადამიანები.

– მე მინდა, ციტირება მოვახდინო ირაკლი ალასანიას ფრაზის, რომელმაც მითხრა: ,,წელში გადავტეხავ ივანიშვილს, თუ ხმებს მომპარავს.“ რა არის ეს, რევოლუციისკენ მოწოდებაა, ივანიშვილის კადაფიზაციაა, მკვლელობის მცდელობა თუ რა? არაფერი ამგვარი, არც სახელმწიფო გადატრიალება. ეს არის პატრიოტი პოლიტიკოსის ნათქვამი, როგორ დაიცავს ის თავის ხმებს. ეს ნებადართულია და როგორი სიტყვებით გამოხატავენ პირად საუბრებში ადამიანები საკუთარ აზრებს, ეს მხოლოდ მათი საქმეა, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

ამასთან, რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა პოლიტიკოსებსა და საზოგადოებას მოუწოდა, გაემიჯნონ სახელმწიფო გადატრიალების ხსენებასაც კი და განმარტა, რომ რევოლუცია და სახელმწიფო გადატრიალება სხვადასხვა რამაა.

გვარამიას განცხადება გულზე აშკარად ცუდად მოხვდა „ქართული ოცნების“ აღმასრულებელ მდივან ირაკლი კობახიძეს. მან რუსთავი 2-ის გენერალურ დირექტორს ნაცმოძრაობის გენერალური პროკურორი უწოდა.

კობახიძის განცხადებით, რუსთავი 2 ნაციონალური მოძრაობის გეგმების განმახორციელებელია და ეგზიტპოლების ჩატარებით ცდილობს, ხელი შეუწყოს იმ რევოლუციურ გეგმას, რომელზეც მიმდინარეობდა საუბარი ამ ფარულ ჩანაწერებში.

– პარტიის ტელევიზიის ხელმძღვანელმა ნიკა გვარამიამ ისაუბრა, როგორც სააკაშვილის პარტიის ტელევიზიის გენერალურმა პროკურორმა. 10 წუთის განმავლობაში ვისმენდით გენერალური პროკურორის ანუ ნიკა გვარამიას მხრიდან იმის გამართლებას, თუ რამდენად ლეგიტიმური შეიძლება იყოს რევოლუცია. ძალიან აჭრილები არიან ნაცმოძრაობის წარმომადგენლები და მათ შორის გენერალური პროკურორი ნიკა გვარამია, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გიორგი ოთხმეზური: „სტუდენტებს ვეთანხმები, მაგრამ გამოხატვის ფორმა არ მომწონს“

ნათია ხურცილავა

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი ოთხმეზური „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში უნივერსიტეტში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.**



***– ბატონო გიორგი, როგორ შეაფასებთ უნივერსიტეტში განვითარებულ მოვლენებს? სტუდენტების ერთი ნაწილისთვის მიუღებელია, განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილე დღეს რექტორი რომ არის.***

– რექტორი გახდა ის პიროვნება, ვინც აკადემიურმა საბჭომ აირჩია ანუ ის არის ლეგიტიმური. შარვაშიძე განათლების სამინისტროში რომ მუშაობდა, ეს არ არის დანაშაული, პირიქით, საქმეში ჩახედულია და იცის, რა არის გასაკეთებელი პირველ რიგში. ასეთი ობსტრუქცია, რაც მოჰყვა ჯერ კანდიდატურის წამოყენებას და შემდეგ უკვე არჩევას, ნამდვილად ზედმეტია.

***– სტუდენტები მოთხოვნებით გამოდიან, ისინი თავს მოტყუებულად თვლიან. თქვენ ეთანხმებით მათ მოთხოვნებს?***

– მე ვეთანხმები მათ მოთხოვნებს. მაგალითად, ისინი ითხოვენ, რომ უნივერსიტეტის თვითმმართველობის რეფორმა მოხდეს. ამაში ვეთანხმები, მაგრამ გამოხატვის ეს ფორმა არ მგონია მთლად მისაღები იყოს. მართალია, ისინი არ არიან რადიკალურად განწყობილები და რექტორის გადადგომას არ ითხოვენ, მაგრამ ფორმები მაინც მისაღები არ არის.

მე ვურჩევ „აუდიტორია 115“-ს, რომ თავიანთი წინადადებები, იდეები ჩამოაყალიბონ, დაწერონ და შეიტანონ, რომ ეს გახდეს გეგმის ნაწილი. აქტიურად ჩაერთო გეგმის მომზადებაში. როგორ ესახებათ უნივერსიტეტის მომავალი, როგორ უნდა იყოს ხვალინდელი დღე? ეს გახდეს მსჯელობის საგანი და გადაწყდეს, რა უკეთესია უნივერსიტეტისთვის, სტუდენტებისთვის.

***– სტატუსშეჩერებული სტუდენტების საკითხიც ძალიან მწვავედ დგას. ისინი ვერ ირჩევენ საგნებს, სწავლას ვერ აგრძელებენ. აქ როგორი უნდა იყოს მიდგომა?***

– ეს არის რეალური და ძალიან სამწუხარო პრობლემა. მაგალითად, სტუდენტურ თვითმმართველობას, რომლის დაფინანსებაც 500-600 ათასი იყო და 2012 წელს, როდესაც არჩევნები ჩატარდა, მათი ბიუჯეტი 700 ათასი იყო, ერთი სტუდენტი მაინც დაეფინანსებინა და მიეცა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. ამ სერიოზულ პრობლემაზე უნივერსიტეტმაც უნდა იზრუნოს და პროფესურამაც.

მე თანახმა ვარ, რომ ჩვენი, უნივერსიტეტის პროფესორების, ხელფასიდან გარკვეული თანხა ყოველთვიურად გადაიდოს ამ სტუდენტების სწავლის დასაფინანსებლად. შეიძლება ეს არ იყოს დიდი თანხა, მაგრამ ვიღაცას მაინც შევეშველებით.

***– დღესაც ავტონომიის მოთხოვნით გამოდიან სტუდენტები. რეალური ავტონომიის მიღწევა როგორ უნდა მოხდეს?***

– არ უნდა ჩაერიოს ხელისუფლება უნივერსიტეტის საქმეებში. ბოლონიის პროცესი თუ გახსოვთ, ხშირად იყო ამაზე საუბარი. ბოლონიის პროცესში რაც წერია, ყველაფერი მისაღებია. ბოლონიის პროცესი არ ითხოვს არც ფაკულტეტების შემცირებას და არც სხვა რამეს, რისი მოწმენიც ვიყავით. ბოლონიის პროცესი პირიქით, იმას ამბობს, რომ ხელისუფლებამ უნდა აფინანსოს უმაღლესი სასწავლებლები და ყოველწლიურად გაუზარდოს კიდეც. განათლების სამინისტროსთან კონტაქტი არის საჭირო და ახალ რექტორს გამოადგება პიროვნული კონტაქტებიც, რომლებიც მას მინისტრის მოადგილის რანგში ჰქონდა.

***– ეს დადებითი ფონია ახალი რექტორისთვის?***

– მისი დადებითი ფონი არის ის, რომ მასწავლებელი იყო და მერე ამ სისტემაში მუშაობდა, იცის სისტემა კარგად.

***– რა მოლოდინი გაქვთ?***

– პირველ რიგში ის, რომ სასწავლო პროცესი თავის კალაპოტს დაუბრუნდება. იმედი მაქვს, რომ გაუქმებული სამეცნიერო ლაბორატორიები გაიხსნება. სწავლის დონე ამაღლდება, უნივერსიტეტს თავისი პრესტიჟი დაუბრუნდება, ეს არ არის ადვილი საქმე და ერთი და ორი დღის გასაკეთებელი საქმე, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ჩვენ ყველა ერთად ამისკენ გადავდგამთ ქმედით ნაბიჯებს.

სწორია, როდესაც სტუდენტები ამბობენ, რომ ე.წ. ბაზებში ვერ შედიან და ა.შ. ეს საკითხები უნდა მოგვარდეს. სტუდენტები სახელმძღვანელოების საკითხს აყენებენ, ეს მოთხოვნაც სწორია. სახელმძღვანელოების პრობლემა ერთხელ და საბოლოოდ უნდა გადაიჭრას, უნდა ითარგმნოს სახელმძღვანელოები. სტუდენტისთვის სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომი უნდა იყოს, მას სირბილი და ძებნა არ უნდა სჭირდებოდეს და ამაში დროის ხარჯვა. სხვათა შორის, პროფესორებსაც.

თარგმნილი სახელმძღვანელოები ვებგვერდზე უნდა იდოს, ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. იმედი მაქვს, ეს საკითხები მოგვარდება.

# ნინო ბურჯანაძე: „ვინ არის პასუხისმგებელი კოჰაბიტაციაზე?“



– ვინ არის პასუხისმგებელი კოჰაბიტაციაზე? „ქართული ოცნება“, თავისუფალი დემოკრატები, რესპუბლიკელები, ფორუმი. – ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვი, რომ ეს არის ავთენტური ჩანაწერი.

ამის შესახებ „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ გავრცელებული ფარული აუდიოჩანაწერის კომენტირებისას განაცხადა.

მისივე თქმით, ეჭვგარეშეა, რომ გამოძიება უნდა ჩატარდეს და ექსპერტიზამ უნდა დაადგინოს, რამდენად სრულყოფილია იგი.

– მაგრამ მეორე თემაა ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“. ვინ არის პასუხისმგებელი კოჰაბიტაციაზე?

სწორედ „ქართული ოცნება“, თავისუფალი დემოკრატები, რესპუბლიკელები, იგივე ფორუმი – ყველა ის პარტია, რომელიც იყო „ქართულ ოცნებაში“. როდესაც მე, ვამბობდი იმას, რომ ნაციონალური მოძრაობა არის საფრთხე და რომ ის, როგორც ორგანიზაცია, საერთოდ უნდა აიკრძალოს, ზუსტად ეგ ადამიანები და კოალიცია იყო, რომელიც იძახდა ნაციონალების გადარჩენა ქართული დემოკრატიის გადარჩენააო, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მან საზოგადოებას მოუწოდა, რომ კარგად გაიხსენონ და გააანალიზონ ყველაფერი, რაც მოხდა და გაითვალისწინონ, რომ ერთადერთი ძალა საქართველოში, რომელიც რეალურად ებრძოდა ნაციონალურ მოძრაობას აბსოლუტურად შეუპოვრად, ეს იყო „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა“ და სახალხო კრება.

– ერთადერთი ძალა ვართ ჩვენ, რომელსაც შეუძლია ნაციონალური მოძრაობის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება. ჩვენ, რომ ვყოფილიყავით ხელისუფლებაში და არა კოჰაბიტაციით გართული „ქართული ოცნება“, დღეს სააკაშვილი ციხეში იჯდებოდა და არა იმ კაბინეტში, საიდანაც მორიგ უბედურებას გეგმავს, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ და დასძინა, რომ ამ ფარულ აუდიოჩანაწერებში დაუჯერებელი არაფერი არ არის, რადგანაც ყველა იცნობს სააკაშვილის და ნაციონალური მოძრაობის ავანტიურისტულ ბუნებას.

– ნაციონალური მოძრაობის წევრებმა, ძალიან კარგად იციან, რომ არჩევნების გზით, ხელისუფლებაში მოსვლის არანაირი შანსი არ აქვთ და ისინი, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ დაბრუნდნენ. ეს საფრთხე არსებობს, ჩვენ ვხედავთ ამას და მე ვაფრთხილებდი „ქართულ ოცნებას“ 2012 წლიდან მოყოლებული, მაგრამ ამას ხელისუფლება სერიოზულად არ აღიქვამდა.

„ქართულ ოცნებას“, უბრალოდ, აწყობს, რომ ნაციონალური მოძრაობა ჰყავდეს მტრის ხატად, იმიტომ, რომ ხალხი დააშინოს. ამაში ვხედავ ლოგიკას, უნდათ, რომ დასავლეთთან ქულები დაიწერონ, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ნინო ბურჯანაძემ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ნაციონალური მოძრაობის მთავარი ამოცანაა, რომ ნინო ბურჯანაძე და მისი გუნდი არაფრით არ მოვიდეს ხელისუფლებაში, ხოლო „ქართულ ოცნებას“ კი უსაქმური, უუნარო გუნდი უწოდა, რომელმაც სააკაშვილს და მის გუნდს ვერანაირი ბრალი ვერ წაუყენა ამდენი წლის განმავლობაში.

ბურჯანაძემ კიდევ ერთხელ მიუსამძიმრა აფხაზეთში დაღუპულთა ოჯახებს და უსურვა მთელ საქართველოს, რომ მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდეს, რომ საქართველო გამთლიანდეს და დაჰპირდა მოსახლეობას, რომ მათი მხარდაჭერისა და არჩევნებში „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობის“ გამარჯვების შემთხვევაში, აუცილებლად მოაწესრიგებს ურთიერთობას აფხაზეთთან, ოსეთთან და რუსეთთან.

**ინტერპრესნიუსი**

# ე.წ. სამხრეთ ოსეთში ტაჯიკეთის მოქალაქე დააკავეს



ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში ტაჯიკეთის მოქალაქე დააკავეს, რომელიც დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირშია ეჭვმიტანილი. მისი რუსეთში ექსტრადირება გუშინ განხორციელდა.

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ცნობით, უმარჯონ ისმონოვი ერთ-ერთი მობილური აპლიკაციის საშუალებით დაჯგუფების იდეოლოგიის პროპაგანდას ეწეოდა.

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის მტკიცებით, ისმონოვი საქართველოსა და თურქეთის გავლით სირიაში ჩასვლას და დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოში“ გაწევრიანებას გეგმავდა.

**ინტერპრესნიუსი**

# ქეთევან ციხელაშვილი: „აფხაზებისთვის ბიძინა ივანიშვილის შეთავაზება უნიკალურია“



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი აფხაზებისათვის ბიძინა ივანიშვილის შეთავაზებას უნიკალურს უწოდებს.

– ეს არის თავისი ხასიათით უნიკალური შეთავაზება, რომელიც პირდაპირ ეხმიანება შერიგების პოლიტიკას. ეს კონკრეტული წინადადებაა, წარმატებისა და განვითარების გაზიარებისთვის ქართული საზოგადოების მზაობა კონკრეტულ ქმედებებში გადავიდეს, რომ გადავდგათ ერთმანეთისკენ ნაბიჯი და საერთო ინტერესზე დაფუძნებით ერთად ვიმოძრაოთ მშვიდობიანი მომავლისკენ.

მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ გვაერთიანებს მომავალი ერთიან ევროპულ საქართველოში, – განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ვახტანგ რჩეულიშვილი: „ყოველთვის ვიყავი და ვარ არჩევნების მძევალი“

– ყოველთვის ვიყავი და ვარ არჩევნების მძევალი, იმ ხელისუფლების დროსაც და ამ ხელისუფლების დროსაც.

ამის შესახებ „ცენტრ პოინტის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ვახტანგ რჩეულიშვილმა, „ცენტრ პოინტის“ ერთ-ერთ საქმეზე გამართული სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

პროცესზე, „ცენტრ პოინტის“ მიერ დაზარალებული 6 პირი დაიკითხა. მოწმეებმა სამშენებლო კომპანიასთან ურთიერთობის დეტალები გაიხსენეს და აღნიშნეს, რომ მათ საკუთარი ბინების დასრულებისთვის „ცენტრ პოინტს“ თანხა რამდენჯერმე გადაუხადეს.

ნაწილმა კი აღნიშნა, რომ მათ ბინების დასრულებისთვის თანხა მოსთხოვეს, თუმცა არ გადაუხდიათ, ვინაიდან სამშენებლო პროცესი შეჩერებული იყო.

– ჩვენ მოწმეებს არ ვედავებით, კლიენტებთან არავითარი პრეტენზია არ გვაქვს, მათ აქვთ ჩვენთან პრეტენზია და მნიშვნელოვანწილად სწორიც. ჩვენ პრეტენზია გვაქვს ხელისუფლებასთან. ამ ხალხმა რა დააშავა, მითუმეტეს, ვინც კარგი გადამხდელია.

მე ვამბობდი წინა არჩევნების პერიოდში, რომ ყველაზე ცუდი პერიოდი ბიზნესისთვის არის არჩევნები, რადგან ცდილობენ ხალხს და ამომრჩეველს დაანახონ, რომ მათზე ზრუნავენ. იგივე მეორდება დღესაც.

სანამ არჩევნები არ დამთავრდება, არც საქმე და არც საქმის გაკეთება აინტერესებს ვინმეს. ვუცდით ახლა ამ პერიოდის გავლას. ყოველთვის ვიყავი და ვარ არჩევნების მძევალი, იმ ხელისუფლების დროსაც და ამ ხელისუფლების დროსაც, – განაცხადა ვახტანგ რჩეულიშვილმა.



**ინტერპრესნიუსი**

# „ბურჭულაძისა და ბურჯანაძის პარტიებს სააკაშვილი მართავს“





## ზვიად ჩიტიშვილი: „კარგად დაინახეს ჩვენი ძალა და ყველა ჩვენ წინააღმდეგ გაერთიანდა“

**რა ხდება საარჩევნო ბლოკ „თოფაძე მრეწველები – ჩვენი სამშობლოს" გარშემო, რატომ მოქმედებენ ერთად ნაციონალები და დემოკრატიული მოძრაობა, რა დაკვეთა მიიღო ბურჭულაძის გუნდმა? – ამაზე საარჩევნო ბლოკ „თოფაძე მრეწველები – ჩვენი სამშობლოს" ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ჩიტიშვილი გვესაუბრება.**

**ზვიად ჩიტიშვილი:**

– რამდენიმე დღის წინ ნინო ბურჯანაძეს მედიის საშუალებით მოვუწოდეთ, შეეფასებინა ის ინციდენტი, რომელიც 21 სექტემბერს ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიაში მოხდა. მას პასუხი გუშინ, 27 სექტემბერს, უნდა გაეცა.

ჩვენ რაღაც ეჭვები გვქონდა, მაგრამ მაინც ვიტოვებდით იმედს, რომ ბურჯანაძე სწორ გადაწყვეტილებას მიიღებდა და მარნეულში მაჟორიტარობის კანდიდატს ვეფხია გურგენიშვილს მოხსნიდა, რომელმაც თავისი უზრდელური ქმედებით ქვეყანა ეთნიკური დაპირისპირების საფრთხის წინაშე დააყენა.

სამწუხაროდ, ჩვენი ეჭვები გამართლდა და ვეფხია გურგენაშვილი კვლავ კანდიდატად დატოვეს. მათ არც ბოდიში მოუხდიათ. ბოდიშს როგორ მოიხდიდნენ, როცა ახალი პროვოკაცია ჰქონიათ დაგეგმილი.

მე არ ვიცი, რა მიზანი აქვს ამ ადამიანებს. მათმა მორიგმა „გმირობამ“ საქართველო ლამის რელიგიური დაპირისპირების წინაშე დააყენა. პოლიციის სათანადო რეაგირება რომ არა, შესაძლოა მარნეულში ძალიან ცუდი პროცესები დაწყებულიყო.

***– კიდევ რამე მოხდა?***

– მოხდა რომელია. 26-27 სექტემბრის ღამეს დემოკრატიული მოძრაობის წევრები ნაციონალებთან ერთად მიცვივდნენ მარნეულში განთავსებულ ჩვენს ოფისში, დაარბიეს იქაურობა და დაწვეს ჩვენი დროშა. ამ დროშაზე ჩვენი წმინდანად შერაცხული მეფეები და ჯვარია გამოსახული. სასტიკად გაუსწორდნენ ჩვენს თანაპარტიელს. ის მიღებული დაზიანებებით საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

***– ასე მაგრად სცემეს?***

– ძალიან მაგრად სცემეს. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ ის სახლში გააგრძელებს მკურნალობას. დარწმუნებული ვარ, მალე მოიშუშებს იარებს, მაგრამ, ბურჯანაძე რას იზამს, მაინტერესებს, რით ახსნის იმას, რომ მისი თანაპარტიელები ნაციონალებთან ერთად მოქმედებენ.

2011 წლის 26 მაისის სისხლიანი დარბევის შემდეგ იმის წარმოდგენაც კი ძნელია, რომ ეს ორი პარტია ერთმანეთთან ითანამშრომლებდა, ამ დღეებში განვითარებული მოვლენები კი საპირისპიროს მოწმობს.

ჩვენ კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ბურჯანაძეს, გაემიჯნოს ნაციონალების მიერ მართულ თანაპარტიილებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა დავიჯერებთ, რომ ეს პარტია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიერ იმართება. ამის რაღაც ნიშნები ისედაც არსებობს.

***– რა ნიშნები?***

– არავისთვის დამალული არ არის, რომ გიგი წერეთელი ნინო ბურჯანაძის ოჯახთან ძალიან დაახლოებული პირია. იგივე წერეთელი სააკაშვილის კარზეც დიდი ნდობით სარგებლობს. იმდენად ენდობა ყოფილი პრეზიდენტი, რომ გადატრიალების გეგმებსაც კი განიხილავს მასთან ერთად.

საკმაოდ საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ სწორედ წერეთელია სააკაშვილსა და ბურჯანაძეს შორის შუამავალი. დემოკრატიული მოძრაობის წევრების ქმედებები ამის თქმის სრულ საფუძველს იძლევა.

პაატა ბურჭულაძე კიდევ უფრო დაახლოებულია მიხეილ სააკაშვილთან და მას ოდესაშიც კი ეახლა. ამიტომაც არ გვიკვირს, რომ მისმა თანაპარტიელმა ჩვენ წინააღმდეგ სერიოზული პროვოკაცია მოაწყო და ამის გამო მიიღო კიდევაც.

***– შეგიძლიათ, უფრო კონკრეტულად გვითხრათ, რა მოხდა?***

– 26 სექტემბერს ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში, გადაცემაში „პრიორიტეტები“ მიწვეული იყვნენ ჩვენი ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი ზაზა აგლაძე და ბურჭულაძის პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატი ირაკლი ღლონტი.

სანამ მომხდარის დეტალებზე დავიწყებდე საუბარს, მინდა გითხრათ რამდენიმე სიტყვა ზაზა აგლაძეზე. ზაზა არის ძალიან წესიერი და კარგი ადამიანი. ის თავგამოდებული ბიჭია, მაგრამ წყობილებიდან მისი გამოყვანა შეუძლებელია. ზაზა ყოველთვის ერიდება ჩხუბს, ამ უზრდელმა ღლონტმა კი წყობილებიდან გამოიყვანა და საკადრისი პასუხიც მიიღო.

***– რა უთხრა იმისთანა, რომ წყობილებიდან გამოიყვანა?***

– ჩვენი ბლოკის ლიდერ გოგი თოფაძეზე თქვა ცუდი სიტყვები, თან ისეთი უზრდელია, პაპისტოლა კაცზე ასეთ რამეებს ამბობს, თანაც მაშინ, როცა ეს ადამიანი იქ არ არის.

***– რა თქვა ამისთანა თოფაძეზე?***

– ასეთიაო, ისეთიაო, პრორუსულიაო.

***– კი მაგრამ, რატომ იყო ეს შეურაცხმყოფელი? თოფაძე თავად არ მალავს, რომ რუსეთი მოსწონს.***

– მე ვერ დაგეთანხმებით, რომ თოფაძე პრორუსულია. ბატონი გოგი ერთ-ერთი ყველაზე პროგრესულად მოაზროვნე ადამიანია და ყველაზე მეტად მას აქვს ეროვნული პოზიცია.

გოგი თოფაძეს არსად უთქვამს, რომ რუსეთის შემადგენლობაში სურს საქართველოს ხილვა. მას არსად უთქვამს, რომ საქართველოში სურს რუსული სამხედრო ბაზების განთავსება. მას არსად უთქვამს, რომ საქართველო მოსკოვიდან უნდა იმართებოდეს. თოფაძე ამბობს, რომ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობები უნდა გვქონდეს. სხვათა შორის, ამაზე მთელი ევროპა და ამერიკა ლაპარაკობენ. წავიდეს ეს ღლონტი და მათაც ეჩხუბოს.

ზაზა აგლაძე ირაკლი ღლონტის აგდებულმა ტონმა გააღიზიანა. 28 წლის ლაწირაკს რა უფლება აქვს, 78 წლის კაცზე ასე უსირცხვილოდ ილაპარაკოს. ბატონმა გოგიმ ქართული წარმოება ააღორძინა. მან უამრავი ადამიანი დაასაქმა და ქართული პროდუქცია შექმნა.

ყველაზე შეურაცხმყოფელი ის იყო რომ მან ჩვენი ბლოკის წევრები კიკუებად მოიხსენია. კიკუ რასთანაც ასოცირდება ყველამ იცის და ამას არცერთი ქართველი კაცი არ მოითმენდა, ვერც ზაზამ მოითმინა.

ამ ღლონტს კიდევ რა გაუკეთებია, დაუჩემებია, პრორუსული ორიენტაციის ხალხს ვერ ვიტანო. ასეთი ხალხი თუ არ მოსწონს, მაშინ დატოვოს ბურჭულაძის პარტია.

***– რატომ უნდა დატოვოს?***

– იმიტომ, რომ პაატა ბურჭულაძე სულ ახლო წარსულში სიამაყით ამბობდა, მე რუსული ბანი ვარო. მაშინ როცა საქართველოს რუსეთთან ლამის საომარი ვითარება ჰქონდა, პაატა ბურჭულაძე კრემლსა და წითელ მოედანზე მღეროდა. ახლა გამოვიდეს ეს ღლონტი და განმიმარტოს, რა უნდა რუს ბანთან? ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, ვისი დავალებითაც შეძვრა იქ და ვისი დავალებითაც დაგვიწყო ბრძოლა.

შემთხვევითი არც ისაა, რომ ამ პროვოკატორ ირაკლი ღლონტს პატარა მიშას ეძახიან. ზაზასა და მის დაპირისპირებას უამრავი ნახვა ჰქონდა. ხალხი ზაზა აგლაძეს ლოცავს და წერს, რა კარგად მოსცხე პატარა მიშასო.

ირაკლი ღლონტი მიშას ბევრ რამეში ჰგავს, სტუდიიდან ისეთი წაკუზული გაიქცა, როგორც მისი ნამდვილი ლიდერი გარბოდა გორიდან 2008 წელს.

მომხდარის გამო ჩვენი ბლოკის სახელით საზოგადოებას ბოდიშს ვუხდი. ჩვენ მაქსიმალურად ვერიდებით ოპონენტებთან ასეთი ტიპის დაპირისპირებას, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი.

„იბერიის“ ეთერში მომხდარ ჩხუბზე საქმე აღიძრა. სამართალდამცავებმა ყველა იქ მყოფი პირი, მათ შორის ზაზაც დაკითხეს, განაჩენი კი ხალხმა უნდა გამოიტანოს. მე მჯერა, რომ 8 ოქტომბერს ყველაფერი ისე იქნება, როგორც ქვეყნისთვის იქნება უკეთესი.

ჩვენს პარტიასა და ბლოკზე დაწყებული შეტევა ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ ძალიან ძლიერები ვართ, რაც ამერიკის საელჩოს, ნაციონალებსა და გიულენს ძალიან ამწარებს.

ამერიკისა და თურქეთის დიდი მცდელობის მიუხედავად, ჩვენ არჩევნებში მაინც ვმონაწილეობთ. რადგან არჩევნების პროცესს ვერ ჩამოგვაცილეს, ახლა პროვოკაციებზე გადავიდნენ, თან ძალიან ბინძურ პროვოკაციებზე. როგორც უკვე გითხარით, მარნეულში კინაღამ ეთნიკური და რელიგიური შუღლი დაიწყეს.

ამომრჩეველი ამ პროცესებს თვალყურს ადევნებს და აცნობიერებს, თუ ვინ არის ამ ქვეყნისთვის საქმის გამკეთებელი. კონკურენტმა პარტიებმა რომ დაინახეს, ჩვენი რეიტინგი მაღლა იწევდა, პროვოკაციები დაიწყეს. ახლა ყველაფერი ხალხზეა დამოკიდებული. ჩვენ ხალხის საკეთილდღეოდ ვიბრძვით და მათი მხარდაჭერის იმედი გვაქვს.

საუბრის ბოლოს ისევ ბურჯანაძეს მინდა მივმართო – ბოლომდე მაინც არ მჯერა, რომ ის ნაციონალების მიერ იმართება, მისი წევრები კი მართლა სააკაშვილის დავალებებს ასრულებენ. ამიტომ მოვუწოდებ ქალბატონ ნინოს, გათავისუფლდეს ასეთი ხალხისგან.





**შემთხვევითი არც ისაა, რომ ამ პროვოკატორ ირაკლი ღლონტს პატარა მიშას ეძახიან. ზაზასა და მის დაპირისპირებას უამრავი ნახვა ჰქონდა. ხალხი ზაზა აგლაძეს ლოცავს და წერს, რა კარგად მოსცხე პატარა მიშასო. ირაკლი ღლონტი მიშას ბევრ რამეში ჰგავს, სტუდიიდან ისეთი წაკუზული გაიქცა, როგორც მისი ნამდვილი ლიდერი გარბოდა გორიდან 2008 წელს. მომხდარის გამო ჩვენი ბლოკის სახელით საზოგადოებას ბოდიშს ვუხდი. ჩვენ მაქსიმალურად ვერიდებით ოპონენტებთან ასეთი ტიპის დაპირისპირებას, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი.**



**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# თამარ ჩხეიძე: „არეულობა შეიძლება ხელისუფლებამ მოაწყოს“

მარიამ მჭედლიშვილი

**ბოლო ხანს ბევრი საუბარია ქვეყანაში მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე. არეულობის ინსპირატორად, ძირითადად, სახელდება უკრაინაში მყოფი მიხეილ სააკაშვილი. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე თამარ ჩხეიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ არეულობის ორგანიზება შეიძლება თავად ხელისუფლებამ მოაწყოს.**



## „სასურველია, რომ პრორუსული ძალები პარლამენტში ნაკლებად მოხვდნენ“

**თამარ ჩხეიძე:**

– მე იმის მეშინია, არეულობის ორგანიზება არ მოახდინოს ხელისუფლებამ. ეს იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ 8 ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნებისთვის“ სასურველი შედეგი არ დადგა.

***– რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?***

– ხელისუფლების წარმომადგენლების, ბიძინა ივანიშვილის განცხადებები და ქმედებები. ივანიშვილმა განაცხადა, რომ თუ ნაციონალური მოძრაობა პროვოკაციებს მოაწყობს, ხალხი ამას დაუპირისპირდება. ეკა ბესელია ამბობს, რომ უნდა მოხდეს ნაც-მოძრაობის საქმიანობის შეფასება.

***– ნაციონალების მმართველობის შეფასება 3 ოქტომბერს იგეგმება..***

– ამას ემატება ტელევიზიით ხაინდრავას მრავალსერიანი ფილმის ჩვენება. ამ ფილმმა ხელისუფლებისათვის საჭირო შედეგი ვერ მოიტანა. ამიტომ, „ქართული ოცნება“ მიმართავს სხვა ხერხებს. ყველაფერი ეს ერთად ემსახურება ძალადობისკენ მოწოდებებს და შურისძიებების წახალისებას. ამან შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური დაპირისპირება. პროვოკაციად ადვილია ბევრი რამის მონათვლა. იტყვიან, პროვოკაციააო და ამას შეიძლება მოჰყვეს დაპირისპირება.

ასეთი მოვლენები შუალედური არჩევნებისას კორცხელში ვნახეთ. „ქართული ოცნება“ ყველაფერს ოპოზიციას აბრალებდა, საქმე აბსურდამდეც კი მივიდა. გამოვიდა, რომ სამეგრელოში ჩასულმა და „ოცნებისგან“ წახალისებულმა სპორტსმენებმა ჯოხები დაურიგეს ოპოზიციას. ფაქტია, რომ ეს სპორტსმენები იქ ძალადობდნენ.

ახლა საპარლამენტო არჩევნები მოდის და მთავარი ამოცანაა დესტაბილიზაციის თავიდან აცილება. არჩევნები მშვიდობიანად უნდა ჩატარდეს. საქართველო დაპირისპირებას ვერ გაუძლებს. არეულობა აწყობს რუსეთს. თუ ამ არჩევნებში მისთვის სასურველი შედეგი არ მიიღო, რუსეთმა, შესაძლოა, დესტაბილიზაცია მოაწყოს.

***– სოციოლოგიური გამოკითხვებით, პირველ ადგილზე „ქართული ოცნება“ გადის. ბოლო გამოკითხვის თანახმად, მეორე ადგილი ერგო პატრიოტთა ალიანსის გარშემო გაერთიანებულ ბლოკს.***

– მე ამ გამოკითხვის თაობაზე არ მსმენია. თუმცა, ასეთი შედეგი შეიძლება სინამდვილეს ასახავდეს. ეს ბლოკი ჩემთვის მიუღებელია. მას პრორუსულად მივიჩნევ, თუმცა, მას კარგი ხელშეწყობა და ფინანსები აქვს. პატრიოტთა ალიანსს ზურგს უმაგრებს ტელევიზია. მთავარი საშიშროება ამჟამად დესტაბილიზაციაა. არის კიდევ ერთი, შედარებით ნაკლები საფრთხე – ესაა მომავალ პარლამენტში პრორუსული ძალების გაერთიანება.

***– ასეთი რამ რეალურია?***

– ამის საშიშროება არსებობს. მომავალ პარლამენტში შესაძლებელია ისეთი ძალების გაერთიანება, როგორიცაა „ქართული ოცნება“ და პატრიოტთა ალიანსი. ბურჯანაძეც გამოხატავს რუსეთის ინტერესებს, მაგრამ მას პარლამენტში მოხვედრის მცირე შანსი აქვს. არა მგონია, მისმა პარტიამ გადალახოს საარჩევნო ბარიერი. ამის გამო რუსეთი მასზე არ დაამყარებს იმედს.

***– პრორუსულობას არავინ აღიარებს.***

– პატრიოტთა ალიანსი ინიღბება ეროვნული თემატიკით. სინამდვილეში, ეს ძალა რუსეთის პოლიტიკის გამტარებელია. ამის აშკარა გამოხატულება გამუდმებული ანტითურქული პროპაგანდაა..

***– ბათუმში უნებართვოდ თურქული სკოლის გახსნა სხვებმაც, მათ შორის, რესპუბლიკელებმა, გააპროტესტეს.***

– დიახ. გასაკვირი არაა, რომ ამ ფაქტს გამოიყენებდა პატრიოტთა ალიანსიც, რომელიც მუდმივად თურქეთის წინააღმდეგ გამოდის და ძველი ქართული მიწების დაბრუნებაზეც კი ლაპარაკობს.

***– პროდასავლურად მიიჩნევა ბლოკი, რომელიც ბურჭულაძის გარშემო შეიქმნა. ამ ბლოკში უცნაურად განვითარდა მოვლენები.***

– სიმართლე გითხრათ, თავიდანვე არ მესმოდა პაატა ბურჭულაძის როლი და დანიშნულება პოლიტიკაში. არც ის ვიცი, პარლამენტში მოხვედრის შემდეგ ის ნაციონალებთან დადგება თუ „ქართულ ოცნებასთან“. პარტია გირჩიც, რომელიც ბურჭულაძესთან გაერთიანდა, შეკითხვებს აჩენს. ბიძინა ივანიშვილი თავის დროზე მიესალმა მის შექმნას და ნაციონალებიდან ამ ჯგუფის გამოყოფას. გაურკვეველია, ვისთან ითანამშრომლებს გირჩი. ერთი რამაა ცხადი – ბურჭულაძის ძალას დიდი ბრძოლა გამოუცხადეს.

***– ხომ შეიძლება, მისი პარტია უკმაყოფილო წევრებს საკუთარი ნებითაც დაეტოვებინათ?***

– რა თქმა უნდა, ამის პროვოცირებაც არაა ძნელი.

***– მაჟორიტარულ არჩევნებში მოსალოდნელია მეორე ტურები. აქვთ თუ არა ზოგიერთ ოლქში გამარჯვების შანსი დამოუკიდებელ კანდიდატებს – პატიოსან და პოპულარულ ადამიანებს?***

– ასეთი რამ, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია. პატიოსან ადამიანებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ ფული. ამიტომ, ისინი არჩევნებს ვერ იგებენ. მაჟორიტარობის კანდიდატებს „ქართული ოცნებიდანაც“ გაუჭირდებათ. მათ დიდი კონკურენცია ელით. ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ძლიერი სუბიექტების წარმომადგენლები. სასურველია, რომ პრორუსული ძალები საერთოდ ვერ მოხვდნენ პარლამენტში. ჩვენს რეალობაში ეს შეუძლებელია. ამიტომ, ვისურვებდი, რომ ისინი ნაკლები რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი. ყველაზე მთავარი კი არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებაა.



## ეკა ბესელია: „ბოკერიასა და სააკაშვილს შორის დიდი დაპირისპირებაა“

– ჩანაწერის ავთენტურობის დადასტურების შემთხვევაში, ყველა ის ადამიანი, ვინც სკამისთვის საკუთარ ხალხსა და ქვეყანას ყიდის, უმკაცრესად დაისჯება.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ეკა ბესელიამ ინტერპრესნიუსს გავრცელებული ჩანაწერის საკითხზე კომენტირებისას განუცხადა.

ნაციონალური მოძრაობა სრულიად სერიოზულად ემზადება სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად.?სააკაშვილისა და მისი თანამზრახველებისთვის კატეგორიულად მიუღებელია პოლიტიკური მმართველობის ნებისმიერი ფორმა გარდა ავტოკრატიისა, – განაცხადა ბესელიამ. ?

ის ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობა მზად არის, ხელისუფლების უკანონოდ მოპოვებისთვის ყველაფერზე წავიდეს – დახოცოს უდანაშაულო ადამიანები, არიოს ქვეყანა და მომავალი დაუკარგოს საქართველოს.

– ამ ადამიანების შეცვლა და სწორ გზაზე დადგომა გამორიცხულია, მათ არც საკუთარი ქვეყნის და არც ქართველი ხალხის მიმართ სხვა განცდა არ გააჩნიათ, გარდა იმისა, თუ როგორ დაიმონონ ეს ქვეყანა და საკუთარი ძალაუფლებით სული როგორ ამოხადონ მის მოქალაქეებს, – აღნიშნა ეკა ბესელიამ.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ჩანაწერის შინაარსსა და საუბარში სავარაუდოდ მონაწილე პირებზეც ამახვილებს ყურადღებას.

– ჩანაწერში კარგად ისმის, ნაცვლად სირცხვილისა და სინანულისა, როგორი სიამაყით ამბობს კაკო ბობოხიძე, რომ გადატრიალებას პირველად არ გეგმავს და რომ გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ სახელმწიფო გადატრიალების დაგეგმვაშიც აქვს მონაწილეობა მიღებული.

ეს არის ამაზრზენი და სრულიად სამარცხვინო ფაქტი.?ამ ჩანაწერში ისიც ჩანს, რომ მიუხედავად გადატრიალების სცენარზე არსებული კონსენსუსისა, ბოკერიასა და სააკაშვილს შორის სერიოზული დაპირისპირებაა, – განაცხადა ბესელიამ.

მისივე თქმით, მთავრობას აქვს ძალა, რათა დაიცვას ქვეყანაში სტაბილურობა და არ მისცემს არავის არეულობის მოწყობის უფლებას.

– ეს არის არჩევნები, რომლის შედეგადაც საბოლოოდ უნდა მოვისროლოთ ისინი ისტორიის სანაგვეზე. საქართველოში არ იქნება დაშვებული არავითარი არეულობა. მთავრობას, სახელმწიფოს აქვს ძალა და დაიცავს ქვეყანაში სტაბილურობას, არავის მისცემს ქვეყნის არევის უფლებას.?

მინდა მივმართო ამომრჩევლებს – ეს ძალადობრივი ძალა არც ფერს იცვლის და არც ზნეს, ამიტომ პასუხი ამ ყველაფერზე ახლა ამომრჩევლის ხელშია, ხოლო უკანონობაზე რეაგირება – სამართალდამცველების, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

**ინტერპრესნიუსი**

## შს მინისტრი: „საზღვრის გადმოკვეთის შემთხვევაში სააკაშვილს მაშინვე დავიჭერთ“



შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილის განცხადებით, საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის შემთხვევაში ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მაშინვე დააკავებენ.

მღებრიშვილმა ამის საფუძვლად სააკაშვილის დაპატიმრების თაობაზე სასამართლოს მიერ უკვე გამოცემული განჩინება დაასახელა.

– არსებობს სასამართლოს განჩინება მისი დაპატიმრების თაობაზე, რის საფუძველზეც იგი შს სამინისტროს ძებნილთა ბაზაში იმყოფება.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იგი დაკავებული იქნება საზღვრის გადმოკვეთისთანავე, რასაც ითვალისწინებს პოლიციის მიერ ძებნილი პირების დაკავების სტანდარტული პროცედურა, – განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

## გიორგი მარგველაშვილი: „სააკაშვილმა საარჩევნო პროცესში ჩარევისგან თავი უნდა შეიკავოს“



პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მის წინამორბედ მიხეილ სააკაშვილს მოუწოდებს, თავი შეიკავოს საქართველოს საარჩევნო პროცესში ჩარევისა და დაძაბულობის მუხტის შეტანისგან.

ამასთან, როგორც პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ გუშინ, 27 სექტემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ადეკვატური იყო შინაგან საქმეთა მინისტრის პოზიცია, რომელმაც აღნიშნა, რომ თუ მიხეილ სააკაშვილი საქართველოში ჩამოვა, სამართალდამცავი ორგანოები კანონით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით იმოქმედებენ.

– პრეზიდენტმა არაერთხელ დააფიქსირა პოზიცია და არაერთხელ მოუწოდა უკრაინის მთავრობის მაღალჩინოსანს, რომ უმჯობესია, თავი შეიკავოს საქართველოს საარჩევნო პროცესში ჩარევისგან.

ძალიან კარგი იქნება, თუკი ის თავშეკავებას გამოიჩენს ამ უმნიშვნელოვანეს დემოკრატიულ პროცესში – არჩევნებში გარკვეული დაძაბულობის მუხტის შეტანისგან, – განაცხადა ეკა მიშველაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## აკაკი ბობოხიძე: „მტყუანის დედა... მტყუანის მკვდარი... მტყუანის ცოცხალი...“

– ეს არის სრული უნიჭობა, გათვლილი უწიგნურ, ბრმადმორწმუნე „ქოცებზე“. წელს მიხეილ სააკაშვილთან სატელეფონო საუბარი საერთოდ არ მქონია და წელს ნაციონალური მოძრაობის წევრები ამ შემადგენლობით მიხეილ სააკაშვილთან არ ვყოფილვართ.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წევრმა აკაკი ბობოხიძემ განაცხადა, რომელიც ინტერნეტით გავრცელებული ჩანაწერის მიხედვით, საუბრის ერთ-ერთი მონაწილეა.

ბობოხიძე ნაციონალური მოძრაობის მიერ რევოლუციისთვის მზადებას კატეგორიულად უარყოფს. ამასთან, აცხადებს, რომ პარტია საარჩევნოდ ხმებს დაიცავს, ისევე, როგორც ამას ყველა სხვა ოპოზიციური პარტია გააკეთებს.

– რევოლუციისთვის არ ვემზადებით და ხმებს დავიცავთ. ეს ყველაფერი არის სრული უნიჭობა. ეს არის გათვლილი უწიგნურ, ბრმადმორწმუნე „ქოცებზე“, რომლებზეც არგუმენტი არ ჭრის. გასულ წელს პარტიის პოლიტსაბჭო იყო კიევში. მიმდინარე წელს ამ შემადგენლობით კიევში არ ვყოფილვართ, – განაცხადა კაკო ბობოხიძემ.

მან ხაზი გაუსვა, რომ წელს მიხეილ სააკაშვილთან სატელეფონო საუბარი არ ჰქონია.

– როცა კაცი შეიგინები, უზრდელი ხარ, არადა, ამ ჩანაწერის კომბინაციის გამკეთებელს, ვითომ ჩამწერს და დამვალებელს დიდი სიამოვნებით ვეტყოდი: მტყუანის დედა... მტყუანის მკვდარი... მტყუანის ცოცხალი... და ასე შემდეგ. ამათთან სხვანაირი არგუმენტებით საუბარს აზრი არა აქვს, – განაცხადა ბობოხიძემ.

მან აღნიშნა ისიც, რომ 2012 წელს ხელისუფლებაში მყოფი ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც ჰყავდა პოლიცია და ჯარი, ხალხის გადაწყვეტილებას დაემორჩილა.

– არავის არა აქვს იმის ნება კი არა, იმის ძალა, რომ არ დაემორჩილოს ხალხის გადაწყვეტილებას. ხალხის გადაწყვეტილებისთვის დამორჩილება მოუწევს ყველას – პირველ რიგში,



ბიძინა ივანიშვილს, – აღნიშნა კაკო ბობოხიძემ.

მისი თქმით, ნაციონალებიც და სხვა ოპოზიციური პარტიებიც კარგად შეაფასებენ არჩევნების შედეგებს, შეაფასებენ, თუ როგორ ჩატარდება არჩევნები, გაყალბდება თუ არა.

– გარწმუნებთ, რომ არავის არჩევნების გაყალბების საშუალებას არ მივცემთ. ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ვერავინ ვერაფერს გააყალბებს და ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერს მოუწევს ხალხის გადაწყვეტილებისთვის დამორჩილება – პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილს, – აღნიშნა ბობოხიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## იან კელი: „ხელისუფლებაში მოსვლის ერთადერთი გზა საარჩევნო ყუთთან გადის“



– ხელისუფლებაში მოსვლის ერთადერთი გზა გადის საარჩევნო ყუთთან. სხვა ყველა მეთოდი არალეგიტიმურია.

ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა იან კელიმ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, ყველამ უნდა გაამახვილოს ყურადღება იმაზე, რომ ჩატარდეს ისეთი არჩევნები, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ქართველი ხალხის ნება იყოს დაცული.

აშშ-ის ელჩის თქმით, ნებისმიერი სახის დაშინება პოლიტიკური პარტიების თუ მთავრობის მხრიდან ყოვლად მიუღებელია.

ამასთანავე, იან კელიმ აღნიშნა, რომ აქამდე წინასაარჩევნო გარემო საქართველოში მშვიდი იყო.

**ინტერპრესნიუსი**

# მამუკა გვაძაბია: „აფხაზეთი საბოლოოდ 2008 წელს დაიკარგა“

გულიკო ბალაძე





**27 სექტემბერს დაეცა სოხუმი, რაც გახდა აფხაზეთის ოკუპაციის დასაწყისი. 23 წელი გავიდა სოხუმზე კონტროლის დაკარგვიდან. „სამოქალაქო პლატფორმა – ახალი საქართველოს“ (რომელიც შედის ბლოკში „სახელმწიფო ხალხისთვის“) ერთ-ერთი დამფუძნებელი მამუკა გვაძაბია აცხადებს, რომ 1993 წელს სოხუმის დაცემით დაიწყო აფხაზეთის დაკარგვა, რომელიც დამთავრდა 2008 წელს კოდორის ჩაბარებით.**

***– 27-30 სექტემბერს კონტროლი დავკარგეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიაზე. დღეს რა შეგიძლია თქვათ ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით?***

– აფხაზეთის დაცემა ორ ეტაპად განხორციელდა – აფხაზეთი დაეცა 1993 წელსაც და აფხაზეთი დაეცა 2008 წელსაც.

***– კოდორი?***

– დიახ. ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემოება, აფხაზეთში რა პირობებში დაიწყო ომი. როგორ მოქმედებდნენ აფხაზეთში სახელმწიფო ჯარები და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები ადგილზე.

***– ერთია, როგორ მოქმედებდნენ, მაგრამ მეორეა, რამდენად მომგებიანი იყო ქართული სახელმწიფოსთვის საჯარისო შენაერთების გადაადგილება აფხაზეთის მიმართულებით და საომარი ვითარების შექმნა.***

– სახელმწიფო საბჭოს საჯარისო ფორმირებების შემოყვანა იმთავითვე ნიშნავდა აფხაზეთის დაკარგვას საქართველოსთვის. ამას არ უნდოდა დიდი წინასწარმეტყველება – გასაგები იყო, რისთვის აკეთებდა ამას ცენტრალური ხელისუფლება.

***– თავს იმართლებენ, ომი გარდაუვალი იყოო.***

– ომი გარდაუვალი არ იყო. სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოსული უკანონო ხელისუფლების ქმედება არ იყო გამართლებული. არჩევნებიც კი არ იყო ჩატარებული, როცა სახელმწიფო საბჭომ ჯარი შეიყვანა აფხაზეთში.

***– არჩევნები ომის პირობებში ჩატარდა, რომელსაც იმედის არჩევნები დაერქვა.***

– შევარდნაძე ცდილობდა, თავისი ლეგიტიმურობა მთელ საქართველოზე გაევრცო. სინამდვილეში ყველაფერი პირიქით მოხდა.

სამწუხაროდ, არა მხოლოდ ბოლო 25 წლის განმავლობაში, საქართველო შაგრენის ტყავივით პატარავდება. ყველა ხელისუფლების დროს, გარდა გამსახურდიას მმართველობისა, საქართველომ თავისი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა. აფხაზეთის დაკარგვა დაიწყო 1993 წელს და დამთავრდა 2008 წელს.

***– 1993 წლისა და 2008 წლის მოვლენები ერთმანეთის საპირწონეა?***

– ეს მოვლენები საპირწონეები არ არის თავისი მნიშვნელობითა და სიდიდით, მაგრამ გარკვეულწილად ასახავს იმ მდგომარეობას, რომელშიც იყვნენ მაშინდელი ხელისუფლებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

***– კერძოდ?***

– კერძოდ, რა პოლიტიკასაც ატარებდნენ ეს ხელისუფლებები ავტონომიის მიმართ და რა როლი ჰქონდათ აფხაზეთის დაცემაში.

***– რას გულისხმობთ?***

– საერთოდ, აფხაზეთში ომის მიმდინარეობა და დამარცხება მინდა დავუკავშირო პირდაპირ ცენტრის მოღალატურ პოლიტიკას.

***– რას გულისხმობთ მოღალატურ პოლიტიკაში?***

– 1993 წელს – შევარდნაძის ხელისუფლების, ხოლო 2008 წელს სააკაშვილის მოღალატურ პოლიტიკას ვგულისხმობ, თუმცა, თავისი მნიშვნელობით ერთ სასწორზე არ ვდებ, ერთმანეთისგან განსხვავებულია.

***– 2008 წელს სააკაშვილის მოქმედებას ღალატად აფასებთ?***

– სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან ნაციონალ-სეპარატისტებთან და რუს ოკუპანტებთან კულისებს მიღმა ანტისახელმწიფოებრივი, ლაჩრული გარიგების შედეგად კოდორი ჩაბარდა, კოდორის ხეობის ჩაბარებით კი აფხაზეთი საბოლოოდ დაეცა.

***– როდესაც ოკუპანტთან გარიგებაზე საუბრობთ, რაიმე მტკიცებულება გაქვთ? რაღაც ფაქტებიდან გამომდინარე, ყოველთვის ვეჭვობდი, რომ სააკაშვილი რუსებს გაურიგდა კოდორის სანაცვლოდ ცხინვალის დაბრუნებაზე, მაგრამ რუსებმა მოატყუეს.***

– ამჯერად ამ საკითხზე მეტს არაფერს ვიტყვი. ფაქტია, რაც უნდა ეცადოს ნაცმოძრაობა, თავი იმართლოს, რომ ოკუპანტმა ტერიტორიები წაგვართვა, ფაქტია, 2008 წელს დამთავრდა აფხაზეთის დაცემა. აფხაზეთი საბოლოოდ დაეცა 2008 წელს. საქართველოს განუყოფელი ნაწილი კოდორის ხეობა მტერს ჩაბარდა 2008 წელს. ეს ფაქტია.

რუსეთი ოკუპანტია და ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა, მაგრამ ეს მოხდა ნაცმოძრაობის მამლაყინწური და თავნება პოლიტიკის შედეგად. განსაკუთრებით მხედველობაში მაქვს სააკაშვილის მეორედ არჩევიდან ომის დაწყებამდე პერიოდში რუსეთთან ურთიერთობა.

***– 27 სექტემბერს რომ დავუბრუნდეთ, რატომ ვერ მოხერხდა რაღაც მიჯნაზე მტრის შეკავება? ორივე ომის დროს გეგმაზომიერი უკანდახევა და რაღაც მიჯნაზე გამაგრება კი არ მოხდა, არამედ თავქუდმოგლეჯილი გამორბოდნენ.***

– ეჭვი მაქვს, რომ ეს ყველაფერი გეგმაზომიერად ხდებოდა, მათ შორის, გეგმაზომიერად ვითარდებოდა მოვლენები მაშინ სოხუმშიც და 2008 წელსაც.

***– რაზე საუბრობთ?***

– შემოსული შეიარაღებული ნაწილების დამოკიდებულებაზე იმ აფხაზების მიმართ, რომლებმაც არ დატოვეს სოხუმი. ეს გონივრულ ეჭვს ბადებს, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას მიზნად არ ჰქონდა მოცემულ ტერიტორიაზე კონტროლის დაწესება. 1993 წელსაც ასე იყო და 2008 წელსაც. მე ვერ დავინახე ამ ხელისუფლებების გააზრებული პოლიტიკა, თუნდაც ჯარის უკანდახევის კუთხით.

***– ორივე შემთხვევაში ჯარი წინ გამორბოდა, მოსახლეობა კი უკან მოჰყვებოდა.***

– იმის მაგივრად, რომ ჯარს დაეცვა მოსახლეობა, პირიქით, ჯარი გამორბოდა და უკან მოჰყვებოდა მოსახლეობა. ჯარისკაცებს შეურაცხყოფას არ ვაყენებ, ასეთი ბრძანება ჰქონდათ. ასეთი პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო და მეომარმა შეასრულა.

როდესაც სახელმწიფო საბჭოს ჯარებმა სოხუმის დაკავება დაიწყეს, წინ გერეუს სპეციალურ ბაზაზე მომზადებული რაზმი შეუშვეს 120 კაცის შემადგენლობით, რომელიც უშუალოდ შევარდნაძესა და ჯაბა იოსელიანს ემორჩილებოდნენ. ამ რაზმმა ჯერ გაძარცვა აფხაზები, შემდეგ ქართველების ბინების გაძარცვა დაიწყო.

***– რატომ ვერ ახერხებდნენ ხელისუფლებები ომში აშკარა წაგების მომენტში თავდაცვის სტრატეგიის განხორციელებასა და მტრის შეკავებას გარკვეულ პოზიციაზე?***

– ამას ერთადერთი ახსნა აქვს – საკუთარი ტყავის გადარჩენა.

***– 2008-ში თავისუფლად შეიძლებოდა, რუსი თბილისში რომ შემოსულიყო და სააკაშვილის ხელისუფლება დაემხო.***

– უკანდახევის სტრატეგია არ არსებობდა, შეიარაღებულ ძალებში არეულ-დარეულობა იყო. ამან გაუთვალისწინებელი მსხვერპლიც გამოიწვია. 2008 წელს სააკაშვილის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ თბილისის შემოგარენში თავდაცვის ზღუდეები შექმნა.

***– საინტერესოა, ნამდვილად თუ შექმნა თბილისის შემოგარენში ზღუდეები?***

– დავუჯეროთ, მაგრამ თავდაცვის ზღუდეები უნდა შეექმნათ ცხინვალისა და სოხუმის მისადგომებთან და არა – თბილისთან. თბილისთან ზღუდეები გააკეთეს საკუთარი ტყავის გადასარჩენად. თავდაცვის ზღუდეები კოდორში სხვა მიჯნაზე უნდა ყოფილიყო, ცხინვალთან – სხვა მიჯნაზე.

## თბილისი საქართველო-ჩინეთის საექსპორტო პროდუქციის გამოფენას უმასპინძლებს

თბილისში ჩინეთისა და საქართველოს სავაჭრო პალატების ორგანიზებითა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საპარტნიორო ფონდის თანადგომით საქართველო-ჩინეთის საექსპორტო პროდუქციის გამოფენა იმართება.



ორგანიზატორების განცხადებით, ღონისძიება საუკეთესო საშუალება იქნება, რათა ქართულმა საზოგადოებამ და ბიზნესწრეებმა ჩინეთში წარმოებული საუკეთესო პროდუქციიის ხარისხი და საინვესტიციო პოტენციალი გაიცნონ.

გამოფენაზე 80-მდე ჩინური კომპანია ტექსტილის, სოფლის მეურნეობის, ელექტრონული ტექნიკისა და აქსესუარების, სამედიცინო მოწყობილობისა და საოჯახო პროდუქციის ექსპოზიციას წარმოადგენს.

ღონისძიებას, რომელიც „ექსპო ჯორჯიას“ მე-11 პავილიონში იმართება (წერეთლის გამზირი 118), გარდა ბიზნესწრეებისა, ორივე ქვეყნის აღმასრულებელი სტრუქტურების წარმომადგენლები დაესწრებიან.

აღსანიშნავია, რომ პირველი 1000 სტუმარი მიიღებს საჩუქარს.

გამოფენა 30 სექტემბრამდე გასტანს.

**ნიუსპრესი**

მკურნალი მცენარე

## კრაზანა — ჩაის ყვავილი

კრაზანა მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა. წვრილი დატოტვილი ფესურიდან ყოველწლიურად ვითარდება რამდენიმე გლუვი, ორწახნაგოვანი, დატოტვილი ღერო, რომლის სიმაღლე აღწევს 30-60 სმ-ს.

როგორც ფქვილის გარეშე არ შეიძლება პურის გამოცხობა, ასევე კრაზანას გარეშე არ შეიძლება მრავალი ავადმყოფობის მკურნალობა, – ამბობდნენ ძველად მკურნალები.

კრაზანას ფშავში ჩაის ყვავილს ეძახიან, ხევსურეთში – უჟმურის ბალახს, იმერეთში -კერჟანას, თავცეცხლას, გურიაში – ცოცხობეს, მესხეთში, ჯავახეთში – ნეგოს.

კრაზანას აგროვებენ ყვავილობის პერიოდში. ჭრიან კენწეროდან 10-20 სმ-ის სიგრძის ნაწილს, აშრობენ მშრალ ადგილას. შრობის შემდეგ ხშირად ყვავილებს და ფოთლებს აცილებენ უხეშ ღეროებს.

კრაზანა შეიცავს ფლავონოიდებს, (გიპეროზიდი, კვერცეტინი, იზოკვერცეტინი, რუტინი და სხვა), 5-6% ანტოციანებს, 10-12% სათრიმლავ ნივთიერებებს, კაროტინს 0,2-0,3%, ეთერზეთებს, ასკორბინის მჟავას. პე ვიტამინს, 17% ფისისებრ ნივთიერებებს, საპონინებს, ნიკოტინის მჟავას, ალკალოიდების კვალს და სხვა.

კრაზანას ნაყენს იყენებენ როგორც გამოსავლებ საშუალებას გინგივიტების და სტომატიტების მკურნალობისა და პროფილაქტიკის მიზნით, ხოლო საფენების სახით ჭრილობების მოსაშუშებლად. აგრეთვე პირის ღრუში ცუდი სუნის შემთხვევაში.

კრაზანს ხმარობენ ნაღვლსადენი გზებისა და ნაღვლის ბუშტის დისკინეზიის, ჰეპატიტების, ქოლეცისტიტების, ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადების საწყისი სტადიის, გასტრიტების, მეტეორიზმის, თირკმლის დაავადების, პერიფერიული სისხლის მიმოქცევის დარღვევის, ქალური დაავადების, ჩირქის, წყლულების, კანზე გამონაყარის და სხვა დაავადებების დროს. მწვანე მცენარეს ხელში სრესენ და იდებენ გარედან დაჟეჟილობის დროს და სისხლის დენის შესაჩერებლად.

კრაზანას სამკურნალო მიზნით ძირითადად ნაკრების სახით იყენებენ.

კრაზანას ნაყენის მისაღებად აიღეთ 10 გ (1,5 სუფრის კოვზი) ბალახი, მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) ცხელი წყალი, დაახურეთ თავსახური, ადუღეთ წყლის აბაზანაში 15 წთ-ის განმავლობაში.

გააცივეთ, გაწურეთ და დაამატეთ ანადუღარი წყალი საწყისი მოცულობის (200 მლ) მიღებამდე. შეინახეთ გრილ, ბნელ ადგილას არაუმეტეს 2 დღე-ღამისა. მიიღეთ 1/4 ჭიქა დღეში 3-ჯერ ქალის სასქესო ორგანოების ანთების, შარდის ბუშტის, თირკმელებისა და შარდსადენი გზების დაავადების დროს.

## ბეგქონდარა თაფლოვანი მცენარეა

ბეგქონდარა თაფლოვანი მცენარეა, ამიტომ მის გარშემო ყოველთვის ბევრი პეპელა და ფუტკარია.

თაფლისთვის მტვერს ფუტკრები ბეგქონდარაზე აგროვებდნენ. ამ მცენარეს თაყვანს სცემდნენ როგორც შრომისმოყვარეობის სიმბოლოს. ფუტკრებით გარშემორტყმული ბეგქონდარას ტოტები რაინდების შარფების ყველაზე გავრცელებული სამკაული იყო.

ყვავილობს თითქმის მთელი ზაფხული. ნექტარი 1 ჰექტარზე 170-200 კგ.

მცენარე ძალიან არომატულია. იგი ხარობს ღია, ქვიშიან ადგილებში, მშრალ ფიჭვნარში, განსაკუთრებით ბევრია სტეპებში. ცნობილია ბეგქონდარას მსგავსი მრავალი სახეობის მცენარე, მაგრამ მათი ქიმიური შემადგენლობა არ არის საკმარისად შესწავლილი.

ნედლეულად აგროვებენ ღეროებს ტოტებიანად ყვავილობის პერიოდში. გაშრობის შემდეგ ღეროებს აცილებენ ფოთლებს ან ამტვრევენ და ცხრილავენ რკინის ბადიან საცერში, უხეში ღეროებისა და ფესვების მოსაცილებლად.

რეკომენდებულია ბალახის მოჭრა დანით ან ნამგლით, რადგან მოგლეჯის შემთხვევაში იგი მიწიდან ფესვებიანად ამოდის. ბეგქონდარა ნელა იზრდება, ცუდად მრავლდება და ბუნებრივია, ფესვებიანად ამოთხრის შემთხვევაში, შესაძლებლია მისი გადაშენება.

ბეგქონდარას ბალახი შეიცავს 0,5-1% ეთერზეთს. ეთერზეთი ძირითადად შედგება არომატული ნახშირწყალბადის თიმოლისაგან. ეთერზეთის სამედიცინო გამოყენება განპირობებულია მასში ფენოლების (60%), კრისტალური თიმოლისა და თხევად კარვაკროლის არსებობით. თიმოლს აქვს ძლიერი ბაქტერიოციდული მოქმედება. ბეგქონდარას შემადგენლობაში შედის მწარე სათრიმლავი ნივთიერებები.

ბეგქონდარას იყენებენ როგორც ამოსახველებელ, ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას, რადიკულიტებისა და ნევრიტების დროს ნახარშისა და ექსტრაქტების სახით. ბეგქონდარას ექსტრაქტი შაქართან ერთად შედის ყივანახველის საწინააღმდეგო პრეპარატში.

ხალხურ მედიცინაში ბეგქონდარას ნახარშს იყენებენ საჭმლის მონელების პროცესის დარღვევის, ნაწლავების შებერვის, ხველის, მკერდის არეში ტკივილისა და უძილობის დროს. აგრეთვე, როგორც შარდმდენ და კუჭის გასამაგრებელ საშუალებას.

გარეგანად ხმარობენ არომატიზირებული აბაზანების სახით ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული ტკივილების დროს. კომპრესებისა და საფენების სახით – ჭრილობის შესახორცებლად და თვალის ტკივილის დროს. ფხვნილი გამოიყენება საყნოსავად გრძნობის დაკარგვისას.

ბეგქონდარას იცნობდნენ ძველ აღმოსავლეთშიც. ავიცენა წერდა, რომ ძმარში მოხარშული და ვარდის ზეთში შერეული ბეგქონდარას ნაყენის თავის კანში შეზელვა შველის მეხსიერების დაკარგვისა და ფსიქიკური პათოლოგიების დროს.

გარდა ამისა, ბეგქონდარა ხელს უწყობს შარდის გამოყოფასა და მენსტრუაციას. ველური ბეგქონდარას ფოთლების საფენის შუბლზე და თავზე დადება აყუჩებს თავის ტკივილს.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ჰილარი კლინტონმა დონალდ ტრამპს ტელედებატები მოუგო



ნიუ იორკში, ჰოფსტრის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ჰილარი კლინტონსა და დონალდ ტრამპს შორის ტელედებატების პირველი რაუნდი შედგა.

მას თვალს ადევნებდა 100 მილიონი ადამიანი.

ტელედებატების დაწყებამდე კლინტონს მხარს 42% უჭერდა, ტრამპს – 37.

დებატები ცხარედ მიმდინარეობდა. თემატიკა ძალზე ფართო იყო. ის მოიცავდა როგორც სოციალურ საკითხებს, ასევე საგარეო პოლიტიკის პრობლემებსა და რასობრივ ურთიერთობებს.

ჰილარი კლინტონმა ჰაკერულ შეტევებში რუსეთი დაადანაშაულა და ტრამპს ბრალად დასდო პუტინის მხარდაჭერა.

– ეს შეიძლებოდა ყოფილიყო არა რუსეთი, არამედ ჩინეთი, ან რომელიმე სხვა ქვეყანა! არც იმას გამოვრიცხავ, რომ შესაძლოა ამის უკან არა სახელმწიფო, არამედ რაიმე ექსტრემისტული ორგანიზაცია იდგეს, – მიუგო ტრამპმა.

პასუხი არ იყო დამაჯერებელი. როგორც ჩანს, ეს ტრამპმაც იგრძნო და შეტევაზე გადავიდა. მან ობამას ადმინისტრაციას ბრალად დასდო, რომ ექსტრემისტებთან საინფორმაციო ომს აგებს.

– შეხედეთ ინტერნეტს, რა ხდება! ჩვენ პოზიციებს ვთმობთ! – თქვა ტრამპმა.

– თუკი პოზიციებს ვთმობთ, რატომაა, რომ ექსტრემისტები იზოლირებულნი არიან? – შეაგება ჰილარი კლინტონმა.

ტრამპმა ამას ვერაფერი უპასუხა. ამიტომაც პირად შეურაცხყოფაზე გადავიდა.

– სახელმწიფო მდივნის პოსტზე ყოფნისას თქვენ გაუფრთხილებლობა გამოიჩინეთ, როცა საიდუმლო მასალებზე მუშაობისას პირად სერვერს იყენებდით! სახელმწიფოს ეს ძალზე ძვირი დაუჯდა!

– ვაღიარებ, რომ შეცდომა დავუშვი, – უთხრა ჰილარი კლინტონმა.

მიუხედავად ასეთი მძაფრი კამათისა, დებატების დასასრულს კანდიდატებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, თუმცა ჰილარი კლინტონმა ამჯერადაც იმარჯვა და მეტოქეს ხელი პირველმა გაუწოდა:

– ეს უდავოდ კარგი სვლა იყო, – თვლის რადიო „თავისუფლება“.

ექსპერტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დებატებში ჰილარი კლინტონმა დამაჯერებლად გაიმარჯვა. ამერიკელმა სპეციალისტმა ვიქტორია ბაგმუსმა განაცხადა:

– ჰილარი დონალდ ტრამპზე მთელი ათი თავით მაღლა დგას. დებატებისას ეს გამოჩნდა. ტრამპს ხუთი წლის ბავშვის ინტელექტი აქვს. ასეთი კაცი არ შეიძლება ამერიკის პრეზიდენტი იყოს!

ბი-ბი-სის ექსპერტ კიმ ჰატსის აზრით, ტრამპს ღალატობდა მოთმინება, ის გადადიოდა ყვირილზე, პირად შეურაცხყოფაზე.

– შეუიარაღებელი თვალითაც კი ცხადი იყო, რომ ჰილარი პროფესიონალია. ის აპელირებდა ფაქტებით. ტრამპის სიტყვებში კი უფრო ემოცია სჭარბობდა, – ამბობს ჰატსი.

დებატების პირველი რაუნდი ჰილარი კლინტონმა დამაჯერებლად მოიგო. მას მხარი რესპონდენტთა 62%-მა დაუჭირა.

# რეფერენდუმი აზერბაიჯანში



აზერბაიჯანის პრეზიდენტი ელჰამ ალიევი კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის ინიციატივით გამოვიდა.

ეს ცვლილებები ითვალისწინებს პრეზიდენტის უფლებამოსილების გაზრდას (მას პარლამენტის დათხოვნის უფლება ენიჭება), პრეზიდენტად ყოფნის ვადის გაგრძელებას 5-დან 7 წლამდე, პრეზიდენტობის კანდიდატისათვის ასაკობრივი ცენზის გაუქმებას (მანამდე პრეზიდენტობის კანდიდატი მინიმუმ 35 წლისა უნდა ყოფილიყო).

აზერბაიჯანის ოპოზიცია ამის წინააღმდეგ გამოვიდა. მაშინ ალიევმა აღნიშნული საკითხები საერთო-სახალხო რეფერენდუმზე გამოიტანა.

კონსტიტუციურ ცვლილებებს მხარი მოსახლეობის 85%-მა დაუჭირა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ქერი: „ასადის მონაწილეობა ეროვნული თანხმობის მთავრობაში გამორიცხულია“



სირიაში ისევ დაძაბული ვითარებაა.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჯოშუა ერნსტმა განაცხადა, რომ სირიაში რუსებთან თანამშრომლობა შეუძლებელია.

– რუსები შეთანხმებებს არ იცავენ, არ გააჩნიათ ელემენტარული პასუხისმგებლობის გრძნობა! ასეთ პირობებში თანამშრომლობა ვერ შედგება, – თქვა ერნსტმა.

რუსულმა ავიაციამ ალეპოზე მორიგი დარტყმა განახორციელა. დაღუპულია 237 ადამიანი. ბევრი ნანგრევებს ქვეშაა მოყოლილი.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ განაცხადა, რომ ალეპოზე შეტევამ სირიაში ვითარება ძირეულად შეცვალა.

– ასადის მონაწილეობა ეროვნული თანხმობის მთავრობაში უკვე გამორიცხულია! – თქვა ქერიმ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ ასადმა კურსი კონფლიქტის ძალისმიერი გადაწყვეტისკენ აიღო. ამაში მას მხარს უჭერენ როგორც რუსეთი, ასევე ირანი.

– მოსკოვი და თეირანი მთლიანად არიან პასუხისმგებლები სირიაში მდგომარეობის გამწვავებაზე, – თქვა ქერიმ.

# მაიამიში ტრამპის შიშველი ქანდაკება გაიტაცეს



აშშ-ს პრეზიდენტობის რესპუბლიკელი კანდიდატის დონალდ ტრამპის შიშველი ქანდაკება, რომელიც ქალაქ მაიამის ყინვუდის არტ-რაიონში სამხატვრო გალერეის სახურავზე იდგა, უცნობმა პირებმა მოიტაცეს.

თვითმხილველთა თქმით, სამი მამაკაცი სახურავზე აძვრა, მინაპლასტიკისგან დამზადებული ფიგურა მოხსნეს, პაკაპის საბარგულში მოათავსეს და წაიღეს. მანქანის სანომრე ნიშნით მისი მფლობელი დაადგინეს. ის 36 წლის პედრო ალეხანდრო როდრიგესი აღმოჩნდა. მასზე ძებნა გამოცხადდა.

როგორც ადგილობრივი ტელეარხი აცხადებს, ქანდაკების გატაცების დროს მას ფეხები მოამტვრიეს, შემთხვევის ადგილზე ფეხის ტერფები დარჩა.

ტრამპის შიშველი ნატურალური ზომის ქანდაკება ამერიკულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ დაამზადა და მათ ხუთი იდენტური ქანდაკება ხუთ ქალაქში მაიამიში, ნიუ იორკში, სანფრანცისკოში, კლივლენდსა და სიეტლში დადგეს, საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპის მონაწილეობის პროტესტის ნიშნად.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სკოტლენდ-იარდმა სამეფო ოჯახის ფოტოების მოპარვაში ეჭვმიტანილი დააპატიმრა

ბრიტანეთის პოლიციამ დააპატიმრა პიროვნება, რომელიც იმ ფოტოსურათების მოპარვაშია ეჭვმიტანილი, რომლებზეც კეიტ მიდლტონის და პიპა, ასევე თავად ჰერცოგინია და მისი შვილებია აღბეჭდილი. ამ ინფორმაციას სკოტლენდ-იარდზე დაყრდნობით ადგილობრივი პრესა ავრცელებს.



დანაშაულში ეჭვმიტანილია 35 წლის მამაკაცი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეჭვმიტანილის დაკავება ნორთჰემპტონშირის საგრაფოში მოხდა.

– ის დაკავებულია როგორც ეჭვმიტანილი კომპიუტერული ტექნოლოგიის არამართლზომიერად გამოყენებაში. ამ დროისთვის ეჭვმიტანილი სამხრეთ ლონდონის პოლიციის განყოფილებაში იმყოფება.

ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ანონიმი ჰაკერი დაუკავშირდა ბრიტანულ მას მედიას და მათ 50 ათას ფუნტ სტერლინგად 3 ათასი ფოტოსურათის ყიდვა შესთავაზა, რომლებზეც აღბეჭდილნი იყვნენ კემბრიჯის ჰერცოგინია და მისი შვილები პრინცი ჯორჯი და პრინცესა შარლოტა, ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეები.

ის მისთვის ფულის გადაცემას 48 საათის განმავლობაში მოითხოვდა. გარდა ამისა, ეჭვმიტანილის განკარგულებაში აღმოჩნდა თავად პიპი მიდლტონისა და მისი საქმროს, 33 წლის ფინანსისტის ჯეიმს მეთიუზის პრივატული ფოტოსურათები.

უცნობის მტკიცებით, მან პიპის აკაუნტი გატეხა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.
- უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# უეფას ახალი პრეზიდენტი პირველად საქართველოს ესტუმრება



ხვალ თბილისს ოფიციალური ვიზიტით უეფას პრეზიდენტი ალექსანდერ ჩეფერინი და გენერალური მდივანი, თეოდორ თეოდორიდისი ესტუმრებიან.

საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელსაც ალექსანდერ ჩეფერინი უეფას პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ეწვევა.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია უეფას პრეზიდენტისა და გენერალური მდივნის სტუმრობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში, სადაც სფფ-ის პრეზიდენტთან და გენერალურ მდივანთან სამუშაო შეხვედრა გაიმართება. ასევე დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან.

შეგახსენებთ, რომ 2016 წლის 14 სექტემბერს ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის პრეზიდენტის არჩევნები გაიმართა, რომელშიც სლოვენიელმა ალექსანდერ ჩეფერინიმ გაიმარჯვა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ათენში გამართულ არჩევნებზე პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი წარმოადგენდა და მან მხარი ალექსანდერ ჩეფერინის კანდიდატურას დაუჭირა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ საკუთარი პოზიცია არჩევნებზე ჩეფერინის კანდიდატურის მხარდაჭერასთან დაკავშირებით რამდენიმე დღით ადრე დააფიქსირა.

# სემ ელერდაისის საქმის ძიება დაიწყო



ინგლისი სახელებს და ავტორიტეტებს არ ცნობს – ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი სემ ელერდაისი სკანდალში გაეხვია. ბრიტანული მედიის ცნობით, ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია 61 წლის სპეციალისტის კორუფციაში გამოჭერის საქმეს იძიებს.

ბრიტანულმა პოპულარულმა გამოცემა ტელეგრაფმა ჟურნალისტური გამოძიებით დაიწყო, რათა იქაურ ფეხბურთში მექრთამეობის ფაქტებზე მტკიცებულებები მოეპოვებინა.

ჟურნალისტები მწვრთნელს ბიზნესმენებად გაეცნენ და აუხსნეს, რომ ინგლისურ პრემიერლიგაში ტრანსფერებიდან სარგებლის მიღებით იყვნენ დაინტერესებულნი. მხარეებს შორის გამართული რამდენიმე შეხვედრის შემდეგ, ელერდაისისგან თანხმობა მიიღეს – ელერდაისი 400.000 გირვანქა სტერლინგის სანაცვლოდ, თავისი მდგომარეობის გამოყენებით ბიზნესმენებს დაეხმარებოდა და კონსულტაციას გაუწევდა სატრანსფერო საკითხების წესების გვერდის ავლით მოგვარებაში.

ჟურნალისტებთან საუბრისას ელერდაისმა ინგლისის ნაკრებში მისი წინამორბედი როი ჰოჯსონიც გააკრიტიკა და საფეხბურთო ასოციაციაც გარკვეული გადაწყვეტილებების გამო აუგად მოიხსენია.

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ ტელეგრაფის ჟურნალისტებისგან ამ საქმის მასალები უკვე გამოითხოვა და გამოძიება დაიწყო.

# გვარდიოლა სიტის ლიგის მოგებას ვერ პირდება




მანჩესტერ სიტის თავკაცმა ხოსეპ გვარდიოლამ პრემიერ ლიგის სადებიუტო მატჩები ბრწყინვალედ ჩაატარა და ერთადერთი კლუბია, რომელსაც ჯერ ქულა არ დაუკარგავს. ამ წარმატების მიუხედავად, ესპანელი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ მის გუნდს ევროპის საუკეთესო კლუბებთან მოგება არ შეუძლია.

**პეპ გვარდიოლა:**

– ჯერჯერობით პრემიერლიგაში საქმეები კარგად გვაქვს, თუმცა ასეთი თამაშით ჩვენ არ შეგვიძლია კონკურენცია გავუწიოთ ევროპის ტოპ კლუბებს. პროგრესი და მომავლის იმედი ნამდვილად არის, ამიტომ ჩვენ გვჭირდება, მუშაობა ამ ტემპით გავაგრძელოთ.

სანამ ინგლისში ჩამოვიდოდი, მკითხეს, მზად იყო თუ არა სიტი ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად. ჩემი აზრი ახლაც არ შეცვლილა – ასეთი გუნდი ვერ მოვიგებთ ჩემპიონთა ლიგას. კლუბი ორი თვეა შენდება, საკმაო პროგრესი განვიცადეთ, კრეატიულად ვთამაშობთ, თუმცა მეტოქის საჯარიმოში უკეთ მოქმედება გვმართებს.

# პაბლო ფრანკო მარტინი: „მეორე წრეში უკეთ ვითამაშებთ"




გარდამავალი ჩემპიონატის პირველი წრე მიილია. გამოჩნდა რამდენიმე გუნდი, რომელიც მაღალი მიზნებისთვის იბრძვის. არიან ასევე გუნდები, რომლებმაც თავისი ადგილი უნდა იპოვონ ქართულ ფეხბურთში. ერთ-ერთი ასეთი საფეხბურთო კლუბი საბურთალოა.

დედაქალაქელები სატურნირო ცხრილში 8 ქულით მე-5 ადგილზე იმყოფებიან. განვლილი მატჩები და სრულიად პირველი წრე საბურთალოელთა მთავარმა მწვრთნელმა, ესპანელმა **პაბლო ფრანკო მარტინიმ** შეაფასა:

– პირველი წრის დასრულების შემდეგ, შედეგით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ, უფრო მეტი ქულის მოპოვება შეგვეძლო. მჯერა, დარჩენილ 6 მატჩში უფრო მეტ ქულას ავიღებთ, ვიდრე წინა შეხვედრებში.

***– ბოლო ტურში ბათუმის დინამოსთან რა დააკლდა გუნდს გასამარჯვებლად?***

– ფეხბურთელები მაქსიმალურად დაიხარჯნენ, ყველაფერს აკეთებდნენ, რომ 3 ქულა დაგვრჩენოდა, მაგრამ... ცოტა რომ გაგვმართლებოდა, გოლს გავიტანდით, არადა იყო რამდენიმე ხელსაყრელი ეპიზოდი.

***– რისი ბრალია საგოლე ეპიზოდების გამოუყენებლობა?***

– ვარჯიშებზე ბევრს ვმუშაობთ, თუმცა ჯერჯერობით შედეგს ვერ ვიმკით. ამ ეტაპზე მოწინააღმდეგეს უფრო უმართლებს, ვიდრე ჩვენ. თუმცა, მჯერა, მომავალში საბურთალოსაც გაუმართლებს.

***– საბურთალო თბილისში უფრო უკეთ თამაშობს, ვიდრე გასვლით მატჩებში. ამავდროულად, შინაურ არენაზე ხარისხიან ფეხბურთს აჩვენებს.***

– ვერ დაგეთანხმებით, რომ საკუთარ მოედანზე უფრო უკეთ ვთამაშობთ, ვიდრე სტუმრად. მეტოქის სტადიონებზეც კარგად ვასპარეზობთ, უბრალოდ, არის მოედნები, სადაც ბურთის გაგორება და კომბინაციური ფეხბურთის თამაში ჭირს. ფოთში კოლხეთთან პენალტით წავაგეთ. იქ გაზონი ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო. ბოლნისსა და ზუგდიდში ნორმალურ მინდვრებზე ვითამაშეთ, სიონს მოვუგეთ, ზუგდიდთან კი დავმარცხდით.

***– ელვინ ტერას თუ არ ჩავთვლით, რომელიც წელიწადზე მეტია საბურთალოში თამაშობს, წლეულს კლუბს 4 ლეგიონერი დაემატა – 1 ბრაზილიელი, 3 – ესპანელი. როგორ შეეწყვნენ გუნდს და რამდენად კმაყოფილი ხართ?***

– ლეგიონერისთვის ადვილი არ არის ახალ გარემოსთან შეგუება, ეს გარკვეულ დროს მოითხოვს. ელვინის მაგალითს მოვიყვან – იგი დიდი ხანია, რაც საბურთალოშია. როდესაც თბილისურ კლუბში მუშაობა დავიწყე, არ იყო იდეალურ სპორტულ ფორმაში, თუმცა ახლა გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. დაუგვიანდა მას გუნდთან შეგუება, დაახლოებით 6 თვე დასჭირდა. ახლა, ეს პერიოდი რომ დაველოდოთ ჩვენს ახალწვეულებს, ჩემპიონატი მორჩება. ყველაზე ადრე საბურთალოს კარასკო შემოუერთდა, შემდეგ ფრანცისკო გარსია პენა. ჩემპიონატის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, სანტი ხარა და ვაგნერი დაგვემატნენ. მჯერა, მე-2 წრეში ისინი უკეთ ათამაშდებიან.

***– საბურთალოს რომელი ადგილისთვის შეუძლია ბრძოლა?***

– ამბიციური ადამიანი ვარ, მაგრამ რეალურად მოაზროვნე – ზუგდიდთან ან დინამოსთან ერთი გოლი რომ გაგვეტანა, მესამე ადგილზე ვიქნებოდით. რა პოზიციაზეც ვართ, არ შეესაბამება რეალობას. ახლა მე-2-3 ადგილებისთვის გვაქვს საბრძოლველი. ვიწყებთ ბრძოლას სიონთან მატჩით, რის შემდეგაც ყოველი თამაშის მერე წინ უნდა წავიწიოთ.

***– სიონთან მატჩი ახსენეთ და აქვე გკითხავთ – როგორ თამაშს ელით?***

– სიონი ბოლო პერიოდში უკეთ თამაშობს, ვიდრე ჩემპიონატის დაწყების დროს. რაიმე განსხვავებულს არაფერს ველი, ისეთივე დაძაბული შეხვედრა იქნება, როგორიც ბოლნისში იყო.

# ხაბი ალონსო: „ატლეტიკო ძლიერ გუნდებთან უფრო ძლიერად თამაშობს"



ჩემპიონთა ლიგის მორიგ ტურში ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩად მადრიდის ატლეტიკოსა და მიუნხენის ბაიერნის დაპირისპირება მიიჩნევა.

ბავარიელთა ესპანელთა საყრდენმა ნახევარმცველმა, ჩაბი ალონსომ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მე-2 ტურის შეხვედრაზე ესპანურ მედიასთან ისაუბრა, სადაც ამბობს, რომ გუნდები ერთმანეთს ძალიან კარგად იცნობენ. ჩაბი ალონსოს თქმით, დიეგო სიმიონეს შეგირდები ძლიერ გუნდებთან უფრო კარგად თამაშობენ.

შეგახსენებთ, რომ ეს გუნდები გასული სეზონის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ ეტაპზე დაუპირისპირდნენ. შარშან დიეგო სიმიონეს გუნდმა მოახერხა ფინალში გასვლა, ხოლო რეკორდმაისტერი კვლავ ნახევარფინალური ეტაპიდან ზედიზედ მესამეჯერ გამოვარდა.

**ხაბი ალონსო:**

– როგორც ყოველთვის, მადრიდის ატლეტიკო იმავე მდგომარეობაშია. ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. წინა სეზონს თუ შევადარებთ, უნდა აღინიშნოს, რომ სიმიონეს გუნდი დიდად არ შეცვლილა. გარდა ამისა, ტურნირის ჯგუფური ეტაპი და პლეი-ოფის შეხვედრა ერთმანეთისგან განსხვავდება. ატლეტიკო მთელი თავისი არსით მწვრთნელის იდეის ხორცშესხმაა. აღსანიშნავია, რომ ძლიერი გუნდების წინააღმდეგ სიმიონეს შეგირდები უფრო კარგად თამაშობს.

# რომის იმპერატორი 40 წლის გახდა



– ორი ფრანჩესკოდან რომისთვის უფრო მნიშვნელოვანი რომელია – ტოტი თუ რომის პაპი? მე აქ დავიბადე და ვცხოვრობ, ხოლო ის ახალია, – ეს სიტყვები ფრანჩესკო ტოტის ეკუთვნის...

გუშინ რომას ლეგენდარულ თავდამსხმელს 40 წელი შეუსრულდა. ტოტი იტალიის დედაქალაქ რომში დაიბადა. ბავშვობიდან რომას გულშემატკივარი იყო.

რომის იმპერატორი – ამით ყველაფერი ნათქვამია, რადგან ეს ფრანჩესკო ტოტია, რომაში მთელი ეპოქის შემქმნელი და კლუბის სახე. ტოტის, რომას გარდა, სხვა კლუბში არ უთამაშია.

**ფრანჩესკო ტოტი:**

– თავი სხვა კლუბის მაისურით უბრალოდ არ წარმომიდგენია. ამასთანავე, ჩემს შვილებს თვალებში როგორ შევხედავდი და მათ სხვა გუნდში გადასვლის მიზეზს როგორ ავუხსნიდი. რომაში თამაში ჩემთვის „ოქროს ბურთზე" ბევრს ნიშნავს. მომავალში მწვრთნელობა და სწორედ რომაში მუშაობა მსურს. რომას ფანებო, ჩემი მაისური, ეს თქვენი მაისურია. ეს ჩვენი ფერები და საერთო სიამაყეა.

რომას ლეგენდას დაბადების დღე მიულოცა თანაგუნდელმა, ბელგიელმა ნახევარმცველმა, რაჯა ნაინგოლანმა და თან პატარა ხუმრობაც დაურთო:

– მინდა ყველაფერი საუკეთესო გისურვო! ჩემთვის დიდი სიამოვნებაა შენთან ერთად თამაში. ვიმედოვნებ, რომ შენ კიდევ ბევრი სეზონი ითამაშებ ისეთივე სულისკვეთებით, როგორითაც ამას ახლა აკეთებ. საინტერესოა, მე უფრო მალე დავასრულებ კარიერას, თუ შენ.

გეტყვით რომ, ნაინგოლანი მხოლოდ 28 წლის არის.

# შედეგები

**26 სექტემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბარნლი-უოტფორდი .................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 6 | 6 | 0 | 0 | 18-5 | 18 |
| 2.ტოტენჰემი | 6 | 4 | 2 | 0 | 10-3 | 14 |
| 3.არსენალი | 6 | 4 | 1 | 1 | 15-7 | 13 |
| 4.ლივერპული | 6 | 4 | 1 | 1 | 16-9 | 13 |
| 5.ევერტონი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-4 | 13 |
| 6.მანჩესტერი | 6 | 4 | 0 | 2 | 12-7 | 12 |
| 7.კრ.პალასი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-7 | 10 |
| 8.ჩელსი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-9 | 10 |
| 9.ვესტ ბრომვიჩი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-6 | 8 |
| 10.საუთჰემპტონი | 2 | 2 | 2 | 2 | 7-6 | 8 |
| 11.უოტფორდი | 6 | 2 | 1 | 3 | 10-11 | 7 |
| 12.ლესტერი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-11 | 7 |
| 13.ბარნლი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-8 | 7 |
| 14.ჰალი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-12 | 7 |
| 15.ბორნმუთი | 6 | 2 | 1 | 3 | 4-9 | 7 |
| 16.მიდლსბრო | 6 | 1 | 2 | 3 | 6-9 | 5 |
| 17.სუონსი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-10 | 4 |
| 18.ვესტ ჰემი | 6 | 1 | 0 | 5 | 7-16 | 3 |
| 19.სტოკი | 6 | 0 | 2 | 4 | 4-15 | 2 |
| 20.სანდერლენდი | 6 | 0 | 1 | 5 | 5-12 | 1 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალავესი-გრანადა .......................... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 6 | 4 | 2 | 0 | 15-6 | 14 |
| 2.ბარსელონა | 6 | 4 | 1 | 1 | 19-6 | 13 |
| 3.ატლეტიკო | 6 | 3 | 3 | 0 | 12-2 | 12 |
| 4.ვილიარეალი | 6 | 3 | 3 | 0 | 9-4 | 12 |
| 5.ბილბაო | 6 | 4 | 0 | 2 | 9-6 | 12 |
| 6.სევილია | 6 | 3 | 2 | 1 | 11-9 | 11 |
| 7.ლას პალმასი | 6 | 3 | 1 | 2 | 14-11 | 10 |
| 8.ეიბარი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-6 | 10 |
| 9.ალავესი | 6 | 2 | 3 | 1 | 7-5 | 9 |
| 10.ბეტისი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-11 | 8 |
| 11.სოსიედადი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-9 | 7 |
| 12.სელტა | 6 | 2 | 1 | 3 | 5-8 | 7 |
| 13.ლეგანესი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-10 | 7 |
| 14.ხიხონი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-14 | 7 |
| 15.ვალენსია | 6 | 2 | 0 | 4 | 9-12 | 6 |
| 16.დეპორტივო | 6 | 1 | 2 | 3 | 3-5 | 5 |
| 17.მალაგა | 6 | 1 | 2 | 3 | 5-8 | 5 |
| 18.ესპანიოლი | 6 | 1 | 2 | 3 | 9-14 | 5 |
| 19.გრანადა | 6 | 0 | 2 | 4 | 7-15 | 2 |
| 20.ოსასუნა | 6 | 0 | 2 | 4 | 5-13 | 2 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

უნიონი-ზ.პაული .......................... 2:0

**იტალია. სერია ა**

კროტონე-ატალანტა ...................... 1:3

კალიარი-სამპდორია ...................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 6 | 5 | 0 | 1 | 12-4 | 15 |
| 2.ნაპოლი | 6 | 4 | 2 | 0 | 14-5 | 14 |
| 3.ინტერი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-6 | 11 |
| 4.რომა | 6 | 3 | 1 | 2 | 14-8 | 10 |
| 5.ლაციო | 6 | 3 | 1 | 2 | 10-7 | 10 |
| 6.მილანი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-7 | 10 |
| 7.კიევო | 6 | 3 | 1 | 2 | 7-6 | 10 |
| 8.ბოლონია | 6 | 3 | 1 | 2 | 8-10 | 10 |
| 9.სასუოლო | 6 | 3 | 0 | 3 | 6-8 | 9 |
| 10.ტორინო | 6 | 2 | 2 | 2 | 11-7 | 8 |
| 11.ჯენოა | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 12.ფიორენტინა | 5 | 2 | 2 | 1 | 5-4 | 8 |
| 13.კალიარი | 6 | 2 | 1 | 3 | 9-12 | 7 |
| 14.უდინეზე | 6 | 2 | 1 | 3 | 6-9 | 7 |
| 15.პესკარა | 6 | 1 | 3 | 2 | 7-8 | 6 |
| 16.ატალანტა | 6 | 2 | 0 | 4 | 9-12 | 6 |
| 17.სამპდორია | 6 | 2 | 0 | 4 | 6-9 | 6 |
| 18.პალერმო | 6 | 1 | 2 | 3 | 3-7 | 5 |
| 19.ემპოლი | 6 | 1 | 1 | 4 | 2-8 | 4 |
| 20.კროტონე | 6 | 0 | 1 | 5 | 4-14 | 1 |

**იტალია. სერია ბ**

პერუჯა-სპალი ................................ 1:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ბრესტი-რეიმსი .............................. 2:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბელენენსეში-აროუკა ...................... 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ამკარი-კრილია .............................. 0:0

რუბინი-ტომსკი .............................. 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ადანა-ალანია ................................ 3:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პიასტი-სლასკი .............................. 1:1

**დანია. სუპერლიგა**

სილკებორგი-ოლბორგი .................. 5:3

სილკებორგის პირველი და მესამე გოლი დავით სხრიტლაძემ გაიტანა

**შვედეთი. ალსვენსკა**

გიოტებორგი-ესტერსუნდი ............ 2:0

ნორჩიოპინგი-დიურგარდენი ........ 1:3

სუნდსვალდი-ჰაკენი ...................... 0:0

ფალკენბერგი-ჰამარბი .................. 0:2

იორებრო-გეფლე .......................... 2:2

**ნორვეგია. ტიპელიგა**

სტაბეკი-ბოდო ................. გლიმტი 1:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ინტერი-ვპს .................................... 1:1

ლახტი-ჰიფკი .................................. 0:0

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმიმოქცევის მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, ოთ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# მილანში ჯიჯი ჰადიდმა თაყვანისმცემელს დაარტყა

მილანში გამართული მოდის კვირეულის ჩვენების შემდეგ სუპერმოდელმა ჯიჯი ჰადიდმა თაყვანისმცემელს იმის გამო დაარტყა, რომ მან ხელი სტაცა და ჰაერში ასწია.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც 21 წლის მოდელი მაქ მარას ბრენდის შოს ტოვებდა. სანამ ჰადიდი სელფს იღებდა ერთ-ერთ ფანთან ერთად, უცნობი მამაკაცი უკნიდან მიეპარა და ხელში აიტაცა. მოდელმა მის ქმედებას იდაყვით სახეში ჩარტყმით უპასუხა, რის შემდეგაც მან ხელი გაუშვა.

– ვინ ნაგავი ხარ, – დაუყვირა სუპერმოდელმა თავხედ თაყვანისმცემელს.

ამის შემდეგ საქმეში მანეკენის პირადი დაცვის თანამშრომლები ჩაერთვნენ და გოგონა მანქანისკენ წაიყვანეს. აღსანიშნავია, რომ ჯიჯიმ მათ მასზე თავდამსხმელი უცნობის მოძებნა სთხოვა.

აღმოჩნდა, რომ სუპერმოდელს თავს სკანდალურად ცნობილი უკრაინელი ჟურნალისტი ვიტალი სედიუკი დაესხა. აღსანიშნავია, რომ ის არაერთხელ დასხმია თავს ცნობილ ადამიანებს სხვადასხვა ღონისძიების დროს. მაგალითად, 2014 წელს ის შეეცადა



მიწაზე წაექცია ამერიკელი ტელევარსკვლავი კიმ კარდაშიანი, როდესაც ის მანქანიდან გადმოვიდა. იმავე წლის ივლისში ამერიკის სასამართლომ უკრაინელს სამი წლით პირობითი პატიმრობა მიუსაჯა მსახიობ ბრედ პიტზე თავდასხმისთვის.

# კარლ ლაგერფელდი პარიზის რეკლამაში გადაიღეს

მოდელიერი კარლ ლაგერფელდი პარიზის რეკლამაში გადაიღეს, რომელშიც კომპანიონობას მას უწევდნენ შეფ-მზარეული და რესტორატორი ალენ დიუკასი და მუსიკოსი დევიდ გეტა. კლიპში ასევე იხილავთ საფრანგეთის დედაქალაქის მცხოვრებლებსა და სტუმრებს.

კლიპის რეჟისორია ჟალილ ლესპერი, რომელიც სერიალ „ვერსალითა" და ფილმ „ივ სენ-ლორანითაა" ცნობილი.

როგორც ლესპერმა განაცხადა, იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ქალაქი იმ ადამიანების თვალით დანახული წარმოადგინონ, რომლებიც პარიზელები სულ რამდენიმე დღით ხდებიან, ან რომლებიც ყოველთვის პარიზელები იყვნენ.

– ეს შეიძლება იყოს აზიელი ტურისტი, ჰიპსტერი მარეს კვარტალიდან ან ლაგერფელდი, – განმარტა რეჟისორმა.

ვიდეორგოლის გადაღებები ლუვრში, ეიფელის კოშკზე, უნივერმაღ გალერეი ლაფაიეტში, ასევე ტურისტებისთვის კარგად ცნობილ ადგილებში მიმდინარეობდა.



პარიზის რეკლამის ნახვა შესაძლებელი იქნება აეროპორტებში, თვითმფრინავებში, სასტუმროებში, ასევე სოციალურ ქსელებში.



# კარა დელევინი პუმის სარეკლამო კამპანიის სახე გახდა

მოდელი და მსახიობი კარა დელევინი პუმის ახალი სარეკლამო კამპანიის სახე გახდა, რომლის დევიზიცაა „იყავი ისეთი, როგორიც ხარ".

დელევინის თქმით, იყო ისეთი, როგორიც ხარ, ეს ნიშნავს საკუთარი თავის დაფასებას და იმას, რომ მუდმივად პოულობდე საკუთარ თავში საკუთარი სრულყოფისთვის შესაბამის ძალებს.

სარეკლამო კამპანიაში ასევე მონაწილეობა მიიღეს მიმი სტაკერმა და ოლივია ბოისონმა, გერმანელმა მძლეოსნებმა ალექსანდრა ვეტერმა და ტატიანა პინტომ, კუბელმა ფრენბურთელებმა ლეილა კონსუელო ორტეგა მარტინეზმა და მიანმა ფლორეს სტეიბლმა.

# ჯონ ლენონის კოსტიუმი 65 ათას დოლარადაა შეფასებული



ლეგენდარული ჯგუფის ბითლზების წევრის ჯონ ლენონის ტვიდის კოსტიუმი შესაძლოა 65 ათას დოლარად გაიყიდოს.

მუსიკოსი ამ კოსტიუმს, რომელიც დუგლას მილინგსის შეკერილია, 1960-იან წლებში ატარებდა, როდესაც ბიტლომანია იყო მოდაში. შემდგომში კი ლენონმა ის ლონდონის მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების მუზეუმს გადასცა.

ლენონის კოსტუმს აუქციონზე აუქციონის სახლი RR აუქთიონი გამოიტანს. იქ განაცხადეს, რომ ლოტი შესანიშნავ მდგომარეობაშია. აუქციონი მომავალ კვირას გაიმართება.

# ფრანგული ღვინოების საექსპორტო რეკორდი

ფრანგული ღვინოების ექსპორტმა სარეკორდო დონეს 3,5 მილიარდ ევროს მიაღწია მიმდინარე წლის პირველ ნახევარში. ასეთი შედეგი ძირითადად შუშხუნა ღვინოზე მოთხოვნის ზრდამ განაპირობა. ამ ინფორმაციას ღვინისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტის ფედერაციაზე დაყრდნობით ადგილობრივი მას მედია ავრცელებს.

როგორც ექსპერტებმა გამოიანგარიშეს, შუშხუნა ღვინის ექსპორტმა 2016 წლის პირველ ექვს თვეში 1,1 მილიარდი ევრო შეადგინა, ხოლო კლასიკური ღვინის 2,4 მილიარდი ევრო.

მაგარი სპირტიანი სასმელებიდან მიღებული შემოსავალი 4 პროცენტით, 1,8 მილიარდ ევრომდე გაიზარდა. მაგალითისთვის კონიაკის ექსპორტის ზრდამ 5, ხოლო არყის – 6 პროცენტი შეადგინა.

სპეციალისტების თქმით ფრანგული ღვინოებისთვის ყველაზე პერსპექტიულ ბაზრებს წარმოადგენენ – აშშ, კანადა, ვიეტნამი და ჩინეთი.

# რონალდ და ნენსი რეიგანების ნივთები 5,7 მილიონად გაიყიდა

აშშ-ში გაიმართა აუქციონი, რომელზეც გასაყიდად იყო გამოტანილი ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის რონალდ რეიგანისა და მისი მეუღლის ნენსი რეიგანის ნივთები. ორდღიანმა ვაჭრობამ, აუქციონის ორგანიზატორებს 5,7 მილიონი დოლარი მოუტანა და იმ დროს, როდესაც ექსპერტები 2 მილიონი დოლარის შემოსავალს პროგნოზირებდნენ. აუქციონი კრისტის სახლმა ჩაატარა.

ვაჭრობის დროს 400-ზე მეტი ლოტი გაიყიდა. მაგალითად, რეიგანის კოვბოური ჩექმები, რომელშიც მყიდველმა 199,5 ათასი დოლარი გადაიხადა, ხოლო მის საწყისს ფასს 20 ათასი დოლარი წარმოადგენდა.



ფურცელი, რომელზეც ფანქრით ჩანახატები იყო შესრულებული და წარწერა ჰქონდა გაკეთებული „რონალდ რეიგანი", 100 დოლარად გაიყიდა. ბერლინის კედლის ნამტვრევში, რომელსაც ექს-პრეზიდენტის ხელმოწერა ამშვენებდა, 277,5 ათასი გადაიხადეს.

აშშ-ს დროშით დამშვენებული ბულგარის ბეჭედი, რომელიც ყოფილი პრეზიდენტის მეუღლეს ეკუთვნოდა 319,5 ათას დოლარად გაიყიდა. დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის მიერ ნაჩუქარი ვერცხლის კათხები მყიდველმა 52 ათას დოლარად შეიძინა.

# ინტერიერის დიზაინერი მაიამიში სახლს 50 მილიონად ყიდის

კოლუმბიელი ინტერიერის დიზაინერი კატალინა ეჩავარია მაიამიში მდებარე საკუთარ სახლს 50 მილიონ დოლარად ყიდის. სახლი ცნობილია კასა ბაჰიას სახელით.

სამსართულიანი აპარტამენტების საერთო ფართი თითქმის 1,9 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს. სახლში შვიდი საძინებელია. ნაგებობის განსაკუთრებულობა მინის კედლებსა და ირგვლივ შემორტყმულ ტერასებში მდგომარეობს, ასევე ბრტყელ სახურავშიც, საიდანაც ბისკეინის ყურეს ხედი იშლება. სახლს ასევე აქვს აუზი და ავტოფარეხი რვა ავტომობილზე.

როგორც თავად ეჩავარიამ განაცხადა, მან ნაკვეთი დაახლოებით 10 წლის წინ იყიდა, მაგრამ დიდი ხნის მანძილზე მშენებლობისთვის მზად არ იყო. კოლუმბიელმა თავად შექმნა სახლის შიდა ინტერიერი და ავეჯის დიზაინიც თავად შეიმუშავა.

დიზაინერი სახლში დაახლოებით ერთი წლის წინ გადავიდა საცხოვრებლად, მაგრამ ახლა მისი გაყიდვა გადაწყვიტა, ვინაიდან მას სახლი აქვს ბალიზეც და ის დროის უმეტეს ნაწილს მოგზაურობაში ატარებს.



*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 28 სექტემბრისთვის



**ვერძი** – ძალზე შესაფერისი დღეა მშვიდი დასვენებისათვის. შეგიძლიათ მოაწესრიგოთ საოჯახო საქმეები, იფიქროთ. **კურო** – წინააღმდეგობრივი დღეა. მოსალოდნელია კონფლიქტური სიტუაციები. მძიმე წუთებში მეგობრები დაგეხმარებიან. **ტყუპები** – მოვლენები თქვენთვის არასასურველი მიმართულებით ვითარდება. ნუ იქნებით სუბიექტური. **კირჩხიბი** – ყველა საქმეს აგვარებთ. ოჯახის წევრებთან კამათს თავი აარიდეთ. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა. სასიყვარულო ავანტიურაში ნუ ჩაებმებით. დაკმაყოფილდით იმით, რაც გაქვთ. **ქალწული** – დაგეგმეთ დღე. კარგი იქნება ქალაქგარეთ გასვლა. საღამოს უსიამოვნო ამბავს ელოდეთ. **სასწორი** – ერიდეთ აგრესიულ ადამიანებთან ურთიერთობას. გიჯობთ განმარტოვდეთ და დაშვებული შეცდომების გამოსწორებაზე იფიქროთ. **მორიელი** – ნუ იქნებით ზედმეტად კატეგორიული. თავს განტვირთვისა და დასვენების უფლება მიეცით. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ქალაქგარეთ გასვლას. კარგი იქნება, თუ შინ დარჩებით და საოჯახო საქმეებს მოაწესრიგებთ. **თხის რქა** – სიყვარულით ხართ გარემოცული. ეცადეთ, არავის აწყენინოთ. საღამოს მოულოდნელად სასიხარულო ამბავს შეიტყობთ. **მერწყული** – გააანალიზეთ სიტუაცია. ნუ აჩქარდებით. ნაადრევი დასკვნების გამოტანისგან თავი შეიკავეთ. **თევზები** – თავს ნუ გადაიღლით. ყველაფერი თავისთავად მოგვარდება. გელით რომანტიკული თავგადასავალი.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. გერმანიის შეიარაღებული ძალების სახელწოდება; 2. შტატი აშშ-ში; 3. უნგრელთა მეორე სახელწოდება; 4. ფრანგი მწერალი „გარგანტუა და პანტაგრუელის" ავტორი; 5. სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი ბოლნისის რაიონში; 6. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 7. თავფეხიანთა კლასის ზღვის მოლუსკი, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 9. ბუღალტრული ბალანსის ნაწილი; 13. უძრავი ქონების დროებითი დაქირავება; 17. ფიჯის დედაქალაქი; 18. ძველებური წონის ერთეული საქართველოში, უდრიდა 1200 გრამს.

**თარაზულად**: 1. გემის მდგრადობის გამაწონასწორებელი ტვირთი; 3. ხოხბისნაირთა ოჯახის ფრინველი; 8. მაფიის სახელწოდება იტალიაში; 10. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 11. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 12. კერძო მეწარმე სოფლად; 14. ქართული მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია; 16. უნგრელი კომპოზიტორი, პიანისტი; 19. სვან მამაკაცთა ცეკვა; 20. ხელოვნური აბრეშუმი; 21. დაუდუღარი ყურძნის წვენი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომრებში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პიკე; 2. შატლი; 3. მთიელი; 5. ლარდი; 6. გრუნდიგი; 8. ტრიფოლიატი; 10. ინტრიგა; 12. ასტურია; 14. რაჰანი; 15. ფავინო; 16. გუელი.

**თარაზულად:** 1. პირმშო; 4. ალტინგი; 7. შატილი; 9. ლოგიკა; 11. გირკანი; 12. აისბერგი; 13. ბრეხტი; 17. გრაცია; 18. კარე; 19. სიკოფანტი; 20. ბილინგვა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ინსინუაცია; 2. ლუსონი; 3. თოფურია; 4. დიანა; 5. სუბიექტი; 6. შნეკი; 7. ბენზემა; 9. კორომი; 13. კიაზო; 17. ტუაში; 18. ტბა.

**თარაზულად:** 1. იურმალა; 3. თამადა; 8. ხუანხე; 10. კონკური; 11. ანტრე; 12. მაკლერი; 14. ტაიმსი; 15. კრიკინა; 16. ტატრა; 19. ვეზუვი; 20. ბავარია; 21. უწყისი.

# ქართული დამწერლობის ისტორია ერთ წიგნში გაერთიანდა

„ქართული დამწერლობა და ტიპოგრაფიკა, ისტორია, თანამედროვეობა“ – ასე ეწოდება წიგნს, რომლის პრეზენტაციაც 28 სექტემბერს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართება.




წიგნი მეცნიერებთან, შრიფტის სპეციალისტებთან, კოლექციონერებთან, მუზეუმებთან, ბიბლიოთეკებთან, არქივებთან 15-წლიანი შრომის შედეგია.

იგი ასახავს ქართული დამწერლობის განვითარების გზას პირველი პალეოგრაფიული ძეგლებიდან უახლეს შრიფტებამდე.

# სუხიშვილები ქველმოქმედებისთვის იცეკვებენ

ალექსი მაჭავარიანის სახელობის თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში სუხიშვილები საქველმოქმედო კონცერტს გამართავენ, რომელზეც მოცეკვავეები მაყურებლის წინაშე ძველი და ახალი პროგრამით წარდგებიან.

პროექტს თენგიზ სუხიშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდი და „პირველი ნაბიჯი საქართველო“ წარმოადგენს. საქველმოქმედო კონცერტი მძიმე და ღრმა ინტელექტუალური შეფერხების მქონე ბავშვებისა და მოზარდების მხარდასაჭერად გაიმართება.

კონცერტიდან შემოსული თანხა სრულად მოხმარდება მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომსახურების მიღებას, რომელიც ერთადერთია თბილისში და მას „პირველი ნაბიჯი საქართველო“ ეწევა.



სუხიშვილების საქველმოქმედო კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 35-40 ლარია.

# შოთა რუსთაველის იუბილე შვედეთში აღინიშნება

შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში სამეფო სასახლის საჭურვლის მუზეუმში შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართება.

7 ოქტომბერს დაგეგმილი ღონისძიება მიზნად ისახავს შვედური საზოგადოებისთვის რუსთაველისა და ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობის გაცნობას და, ზოგადად, ქართული კულტურის, წიგნიერებისა და ღირებულებების სათანადოდ წარმოჩენას.



ღონისძიებაზე წარმოდგენილი იქნება ვეფხისტყაოსნის ბოლო ინგლისურენოვანი თარგმანი, რომლის ავტორი ამერიკელი მწერალი და მთარგმნელი ლინ კოფინი თავად წარდგება მოხსენებით დამსწრე საზოგადოების წინაშე საქართველოს ახალგაზრდა ელჩთან ერთად.

მეტი თვალსაჩინოების მიზნით დამსწრე საზოგადოებისთვის დაიდგმება „მინისპექტაკლი“ და წარმოდგენილი იქნება საქართველოს ხელნაწერთა ცენტრში დაცული ვეფხისტყაოსნის უნიკალური მინიატურული ილუსტრაციები, რომლებიც იუნესკოს „მსოფლიო მეხსიერების“ ნუსხაშია შეტანილი.

ღონისძიებაზე, რომლის მიზანია ქართული ლიტერატურისა და კულტურის მიმართ ინტერესის ზრდა შვედურ საზოგადოებაში, სპეციალური მოწვევით დაესწრებიან საგამომცემლო სახლები, ლინგვისტები, ლიტერატურათმცოდნეები და მთარგმნელები.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ხოსე კარერასის მსოფლიო ტურნეში ქართველი სოპრანო მონაწილეობს

ახალგაზრდა ქართველი სოპრანო სალომე ჯიქია, რომელიც არაერთი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულია, მსოფლიოში აღიარებული ტენორის ხოსე კარერასის მსოფლიო ტურნეში მონაწილეობს.



ხოსე კარერასი გამოსამშვიდობებელ კონცერტებს მთელი წლის განმავლობაში მართავს. ამ ტურნეს ფარგლებში ტენორი ზაფხულში საქართველოსაც ესტუმრა და ქუთაისში ჩატარებულ კონცერტზე ღია ცის ქვეშ სალომე ჯიქიასთან ერთად რამდენიმე დუეტი იმღერა.

დუბაისა და ბრიუსელში დაგეგმილ კონცერტებში ხოსე კარერასმა სალომე ჯიქია მიიწვია. ქართველი მეცოსოპრანო საოპერო ვარსკვლავთან ერთად მსმენელის წინაშე 4 და 8 ოქტომბერს დუბაიში წარდგება, 27 ოქტომბერს კი მათ დუეტს ბრიუსელში ელოდებიან.

# კეიტ მიდლტონის პირველი დამოუკიდებელი მგზავრობა შედგება

კემბრიჯის ჰერცოგინია კეტრინი ჰოლანდის ოფიციალური ვიზიტით 11 ოქტომბერს ეწვევა. ამ ინფორმაციას კენსინგტონის სასახლე ავრცელებს. პრინ უილიამის მეუღლე ჰააგასა და როტერდამს მოინახულებს.

ეს იქნება პირველი ოფიციალური გამგზავრება ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რომელსაც ჰერცოგინია მარტო განახორციელებს.

ვიზიტის პროგრამაშია მაურიცხეისის სამეფო მუზეუმის დათვალიერება და „მრგვალ მაგიდაში“ მონაწილეობა, რომელიც ჰოლანდიაში დიდი ბრიტანეთის ელჩის ოფიციალურ რეზიდენციაში გაიმართება. მასში სხვადასხვა თემების განხილვაა დაგეგმილი, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებიც. გარდა ამისა, კემბრიჯის ჰერცოგინია მეფე ვილემ-ალექსანდრს შეხვდება.



**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

შვილები ეთერი, გოჩა, დები ნელი, ანეტა, თამრო, ძმა ოთარ ჭკადუები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ამბაკო ჭკადუა**

პანაშვიდი: 28 სექტემბერს, 16 საათიდან, თამარაშვილის ქუჩა №11, III სადარბაზო, VIII სართული.

გამოსვენება: 29 სექტემბერს, 14 საათზე, სამების ეკლესიიდან (მის: ჭავჭავაძის პროსპექტი №37).

---

ვეტერანი მოჭიდავეები იუწყებიან, რომ სახელოვან ფალავანს, სპორტის ოსტატს თავისუფალ ჭიდაობაში ოთარ ჭკადუას გარდაეცვალა ძმა, ღვაწლმოსილი მეცნიერი, პროფესორი

**ამბაკო ჭკადუა**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართველურ ენათა ცნობილი მკვლევარი, შესანიშნავი პიროვნება და კოლეგა, ფილოლოგიის დოქტორი

**ამბაკო ჭკადუა**

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სსრკ უმაღლესი საბჭოს ბოლო მოწვევის დეპუტატი, საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი, ქალბატონი

**ნათელა ტერენტის ასული ბოკუჩავა**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე, უკეთილშობილესი ადამიანი, ნამდვილი პროფესიონალი და მაღალი ზნეობის პიროვნება, ბატონი

**თენგიზ დონაძე**

პანაშვიდი: 27, 28 სექტემბერს, ავჭალის დასახლება (აგარაკები), გურიის ქ. მე-3 ჩიხი.

გამოსვენება: 29 სექტემბერს, 14 საათზე, ავჭალის წმინდა დიდმოწამე დედოფლის ქეთევან წამებულის სახელობის ტაძრიდან.

---

## „არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა!“



„ვინც კვდება, თავის თავს უკვდებაო“ – უთქვამთ... მაგრამ არსებობენ გამონაკლისები; ადამიანები, რომლებიც ჯერ სამყაროს უკვდებიან და მერე – საკუთარ თავს. ბატონი თენგიზ დონაძე ერთ-ერთი იყო მათ შორის. კაცი – აუწონავი ღიმილით სავსე... იმედიანი კაცი...

მის გვერდით ყოველთვის „სხვა“ იყო დედამიწა – ულალატო, ძლიერი, კეთილი, მუდამ მოღიმარი და მაინც ღრმად სევდიანი, ფარულად რომ ილანდებოდა მის თბილ თვალებში მუდამ...

რა იყო ეს სევდა?

ადამიანად ყოფნისა თუ არყოფნის სევდა?

უფრო, ალბათ, სევდა და ტვირთი იყო ადამიანად ყოფნისა... ადამიანობისა, რაზედაც უარი არასდროს უთქვამს და ბოლომდე კაცად, ადამიანად დარჩა...

სოკრატე წერდა, რომ „სიკვდილი კაცობრიობის დიდი ილუზიაა. სანამ ვცოცხლობთ, ის ჯერ არ არის და როცა ვკვდებით, ის უკვე აღარ არის“...

ის უკვე აღარ არის...

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

---

## პროგრამა

**ოთხშაბათი 28 სექტემბერი**

06.00, 14.00 ტ/სერ. "**ადვოკატები**" 07.00 დოკ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. ადამიანის ბუნება" 08.00 ან/ფ "მადაგასკარის პინგვინები" 08.40 "ტელემანი" 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 18.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" 12.20 მხ/ფ "**გარეუბანი**" (ტ.ჰენკსი) 15.00 "X სტუდია" 16.30 "ეკონომეტრი" 17.00 დოკ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. ადამიანის ბუნება" 20.00 მოამბე+მოამბის სტუმარი 21.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 22.40 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მატჩი 00.30 საფეხბურთო მიმოხილვა 01.10 მხ/ფ "**ტოპაზი**"

08.00 დ/ფ "მესამე ხანა" 09.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 10.00 "გეოფაქტორი" 10.15 დ/ფ "როდესაც მეფეები ვიყავით" 12.00 ტ/სერ "**ცოდვა და სირცხვილი**" 13.00 ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" 14.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "სიყვარულის სახელით" 18.00, 21.00 "არჩევნები 2016" 20.00 "მოამბე" 21.50, 01.10 ტ/სერ "**ზღვარს მიღმა**" 22.40 **ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგა, ჯგუფური ტურნირი 00.40 "ნამდვილი დრო"

05.30 სერ. "**ბამბის ველი**" 06.30, 16.00 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.05 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" 11.20 სერ. "**სიყვარულის ჟამი**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**ფიცი**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 სტუმრად იუმორინასთან 00.30 მხ/ფ "**დამრიგებელი**" 02.20 მხ/ფ "**ფლინივით**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 06.45 სერ. "**გაბრიელა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**დედოფლის სევდა**" 15.55 სერ. "**ინდური საგა**" 16.55 სერ. "**ცხოვრების გზები**" 18.50 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 19.55, 20.05 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 22.00 სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" 5 23.00 ნანუკას შოუ 00.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

GDS 8.00 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 11.00 სერ. "**გრეის ანატომია**" 12.00 59 წამი 13.30, 2.45 სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" 14.30 ცოლები და ქმრები 15.00 გვიანი შუადღე 17.00 სერ. "**ახალი გოგო**" 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.20 არჩევნები 2012 დაიჯესტი 20.30 20.30 22.30 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" 23.30 სერ. "**ჰეროკრატია**" 0.30 მხ/ფ "**დაწყევლილი გზა**"

06.15 დროის ჩანაწერები 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 01.00 სიახლენი 10.30 დ/ფ "ქართული სამკაულის ოსტატები" 11.05 ერთხელ ბავშვობაში 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 13.00 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "შრომატე სანგუანა ტრიქოლოგი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართ. ან/ფ 15.20 ტელეზღაპარი "მეღორე და პრინცესა" 15.35 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 16.00 კონცერტი 16.50 კვირიაკის სიუჟეტი "ალავერდი" 17.15 ჩვენი ფონდი "ცხოველმყოფელი ჯვრის შესახებ" 17.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**რაჭა ჩემი სიყვარული**" 20.40 ძილი ნებისა "ნალის შეჭამანდი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ღვთის სახლი 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 გამოყენებითი ხელოვნება "მარიონეტები-ქეთი ძიძიგური" 00.25 ისტორიის დღიური 00.00 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "**ტატიანა**" 10.05 სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" 11.00 "კონტაქტი" 11.05 სერ. "**ვერონიკა**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.00, 14.05 , 1.00 სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.05, 17.05, 3.00 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.35 სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" 19.05 სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.55 სერ. "**გემი**" 21.40 "ღამის კონტაქტი" 23.10 სერ. "**ესკობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**28 სექტემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი


აშშ დოლარი — 2.3345


ევრო — 2.6247


ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0206


100 რუსული რუბლი — 3.6493

## ამინდის პროგნოზი 28 სექტემბრისთვის





## 23 სექტემბრიდან



ილია ჭავჭავაძე
# კაცია-ადამიანი?!

ფართოფორმატიანი, მაღალპოლიგრაფიული, დასურათებული გამოცემა

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 27 სექტემბრიდან

ედიშერ ყიფიანი
# ტომი II




II ტომში შესულია მწერლის ორი რომანი: „წითელი ღრუბლები“ და „ცაში ასროლილი ქუდები“.

რომანებმა გამოქვეყნებისთანავე მკითხველის მოწონება დაიმსახურა და ავტორს დიდი პოპულარობა მოუტანა.

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 30 სექტემბრიდან

# სოლომონ მეფის საგანძური

ჰენრი რაიდერ ჰაგარდი



**მაგარი ყდა, 248 გვერდი**

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**


## იუმორი



ალსარებაზე მისულ მამაკაცს მღვდელი ეკითხება:

– შვილო ჩემო, უარყავი ეშმაკი?

– არ შემიძლია, მამაო.

– რატომ, შვილო ჩემო?

– ჩემი ორი შვილის დედაა.

•••

მოხუცი ქალი ეკლესიაში მღვდელთან მივიდა, უბიდან კატის კნუტი ამოიყვანა და მამაოს მიმართა:

– მამაო, დამილოცეთ ჩემი ფისუნია, ის ჩემთვის ახლობელი ადამიანივითაა!

– და თქვენმა კნუტმა აღსარება ჩააბარა, შვილო ჩემო?

•••

პაციენტი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, ნუთუ ჩემი ავადმყოფობა ასეთი უიმედოა?

– ასეთი უიმედობა, რა საჭიროა! მოდი, ასე ვთქვათ, თუ თქვენი განკურნება მოვახერხე, მთელ მსოფლიოში გავითქვამ სახელს!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– უფრო მეტად რა გიყვარს, ღვინო, თუ ქალები?

– ეს ასაკზეა დამოკიდებული...

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ადამიანი ხედავს მხოლოდ იმას, რისი დანახვაც თავად სურს...

– მართლა? მაშინ რატომ გხედავ?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– დღეს კატა ვიყიდე და სახლში მივიყვანე.

– რატომ?

– ცოლს თაგვების ეშინია.

– და თქვენ სახლში თაგვები გყავთ?

– არ გვყავდა და გუშინ მივიყვანე.

– კი მაგრამ, რატომ?

– დიდი ხანია მინდოდა, რომ სახლში კატა მყოლოდა...

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 29 სექტემბრიდან




ჩემი პირველი სიტყვები
# სკოლა

გასართობ-შემეცნებითი ფერადი წიგნი პატარებისთვის.

წიგნში 100-ზე მეტი სიტყვაა მოცემული. თამაშის საშუალებით და ფერების შერჩევით პატარებისთვის ნაცნობი ნივთების ამოცნობა და დასახელება ძალიან ადვილი და სახალისოა.

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**


## რონალდუმ ზიდანთან უთანხმოება უარყო



კრიშტიანო რონალდუმ უარყო ის ფაქტი, რომ მას რეალის მთავარ მწვრთნელთან ზინედინ ზიდანთან კონფლიქტი აქვს.

კონფლიქტის შესახებ ინფორმაცია მას შემდეგ გავრცელდა, რაც რონალდუ ზიდანმა ლას პალმასთან შეხვედრის დროს მოედნიდან გაიყვანა, რის შემდეგაც რეალმა გოლი გაუშვა და მნიშვნელოვანი ორი ქულა დაკარგა.

კრიშტიანომ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მას ზიდანთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს და არავითარ უთანხმოებას ადგილი არ ჰქონია, თუმცა ის უკმაყოფილო იყო იმ ფაქტით, რომ მან მოედანი დროზე ადრე დატოვა.

თვითონ ზიდანს ამ ინციდენტთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

## გამეირომ ბარსელონას მადრიდის ატლეტიკო ამჯობინა



მადრიდის ატლეტიკოს ფრანგმა ფორვარდმა კევინ გამეირომ საკმაოდ საინტერესო განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ ზაფხულში მან ბარსელონას უარი უთხრა და ატლეტიკოში თამაში ამჯობინა.

გამეიროს თქმით, მან ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ ატლეტიკოს მწვრთნელი დიეგო სიმეონე მას ძირითად შემადგენლობაში თამაშს დაჰპირდა. ბარსელონაში, გამეიროს აზრით, ის ძირითადად სათადარიგოთა სკამზე იჯდებოდა, ამიტომ მან ატლეტიკო არჩია.

წლევანდელ სეზონში კევინ გამეირომ 8 მატჩი ჩაატარა და მეტოქე გუნდების კარი 2-ჯერ აიღო.

## ფრანკ დე ბური ჯეფრი კონდოგბიათი უკმაყოფილოა



ინტერის მთავარი მწვრთნელი ფრანკ დე ბური თავისი ფეხბურთელებით უკმაყოფილოა და ამბობს, რომ ისინი მის დავალებებს არ ასრულებენ.

დე ბური განსაკუთრებით ფრანგ ლეგიონერ ჯეფრი კონდოგბიას შეეხო, რომელიც მას საერთოდ არ უსმენს.

– ბოლონიასთან შეხვედრაში კონდოგბია იმიტომ შევცვალე, რომ მან ჩემი დავალება არ შეასრულა. ზოგადად, მას უჭირს ჩემი ნათქვამის გაგება, რის გამოც მასთან სერიოზულად საუბარი მომიწევს, – განაცხადა დე ბურმა.

6 ტურის შემდეგ ინტერს 11 ქულა აქვს და მე-3 ადგილზე იმყოფება.

## თბილისის დინამოს ახალი მწვრთნელი ჰყავს



თბილისის დინამოს სლოვაკი მწვრთნელი იური იარაბეკი აღარ უხელმძღვანელებს. ამის შესახებ დინამოს ოფიციალური ვებგვერდი იუწყება.

ეს გადაწყვეტილება დინამოს ხელმძღვანელობამ გუნდის მიერ ნაჩვენები არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო მიიღო.

შემდეგ შეხვედრას დინამო ჩიხურას წინაალმდეგ ჩაატარებს და ამ მატჩში მას თამაზ სამხარაძე უხელმძღვანელებს, რომელიც იარაბეკის თანაშემწე იყო.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენი ხნით დაიკავებს სამხარაძე ამ თანამდებობას. სამხარაძის ასისტენტი დავით ჭიჭველიშვილი იქნება.

## აბრამოვიჩი ჩელსიში სერიოზულ ცვლილებებს აპირებს

ჩელსის მფლობელი რომან აბრამოვიჩი ზამთარში თავის გუნდში სერიოზულ ცვლილებებს გეგმავს, რადგან ის გუნდის თამაშით უკმაყოფილოა და თვლის, რომ ჩელსის ახალი ფეხბურთელები ესაჭიროება.

ჯერჯერობით კონკრეტული სახელები ცნობილი არ არის, მაგრამ საუბარია ცენტრალური მცველისა და თავდამსხმელის შეძენაზე, რადგან ჩელსის ყველაზე მეტად სწორედ ამ პოზიციებზე უჭირს.

გარდა ამისა, გუნდს რამდენიმე ფეხბურთელი დატოვებს. ესენი არიან ოსკარი, ნემანია მატიჩი და ბრანისლავ ივანოვიჩი.

შესაძლოა, ჩელსიში ახალი მწვრთნელიც ვიხილოთ, რადგან აბრამოვიჩი ანტონიო კონტეს მუშაობით ჯერჯერობით უკმაყოფილოა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 2. უფერული სითხე, რომელიც მიმოიქცევა ადამიანის და ცხოველის უჯრედშორის სივრცესა და სადინარებში; 3. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 5. ძალიან შავი თმა; 6. კინოსა და თეატრის ცნობილი ქართველი მსახიობი ქალი; 8. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ჭიდაობაში; 10. ერთადგილიანი, სწრაფმავალი, მოტორიანი სპორტული ნავი; 12. პროვინციის მმართველი სპარსეთში, რომელიც განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა; 14. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. უბანი თბილისში; 16. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი.

**თარაზულად**: 1. მოტოროლერების მწარმოებელი იტალიური ფირმა; 4. ცხვრის ტყავისაგან შეკერილი ზედა მოსაცმელი; 7. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 9. ახლად ამოსული პურის ყანა; 11. ერთ-ერთი კონტინენტი; 12. პატარა ქირურგიული დანა; 13. კომბინაცია პოკერში; 17. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 18. ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი გერმანიაში; 19. მომავლის რწმენა; 20. აეროპორტი ბუდაპეშტში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

